აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ჭადრაკის სწავლების ეფექტიანობა საჯარო სკოლებში

ანა კუჭავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტზე განათლების მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერი ხელმძღვანელი: ვასილ კიკუტაძე

თანახელმძღვანელი: გიორგი გახელაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
თებერვალი,2020 წელი
საავტორო უფლება © 2020 წელი, ანა კუჭავა

ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ანა კუჭავას მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: “ჭადრაკის სწავლების ეფექტიანობა საჯარო სკოლებში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიაში მის განხილვას განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი:

თანახელმძღვანელი:

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
2020 წელი

ავტორი: ანა კუჭავა
დასახელება: ჭადრაკის სწავლების ეფექტიანობა საჯარო სკოლებში
ფაკულტეტი: ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი
ხარისხი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი
თარიღი: __/__/__

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

_____
ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.
ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ჭადრაკი არის ინტელექტუალური სპორტის სახეობა, რომელიც ძალიან პოპულარულია მთელ მსოფლიოში. ჭადრაკის შესწავლა ბავშვის განვითარებისთვის ძალიან კარგია. ეს არაერთმა კვლევამ დაადასტურა. მნიშვნელოვანია დავადგინოთ რამდენად ეხმარება მოსწავლეს ჭადრაკი სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებაში და როგორ გამოვიყენოთ სწორად ჭადრაკის პოტენციალი.

კვლევა აქტუალურია, რადგან სკოლების რაოდენობა, სადაც ჭადრაკი ისწავლება, მნიშვლენოვნად გაიზარდა ბოლო წლების მანძილზე. ჭადრაკი სკოლებში უკვე რამდენიმე წელია დაინერგა და საინტერესოა გავიგოთ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს ჭადრაკის შესწავლა საჯარო სკოლებში. მსოფლიოს მაშტაბით სკოლებში ჭადრაკის სწავლების დანერგვა მიმდინარეობს. რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში, ჭადრაკი სკოლებში ისწავლება უკვე არა მხოლოდ არჩევითი სახით, არამედ როგორც სავალდებულო საგანი.

საქართველო არის საჭადრაკო ქვეყანა, სადაც უძლიერესი მოჭადრაკეები გაიზარდნენ და მნიშვნელოვანია რომ გავაგრძელოთ ეს ტრადიცია. სკოლებში ჭადრაკის სწავლება არა მხოლოდ გონების სავარჯიშოდ გამოადგებათ ბავშვებს, არამედ ჭადრაკის პოპულარიზაციასაც შეუწყობს ხელს. ბოლო დროს ახალგაზრდულ ჭადრაკში შედეგები არც თუ ისე სახარბიელო აქვს საქართველოს. დამაინტერესა თუ რა ფაქტორები განაპირობებდა დაბალი შედეგების ჩვენებას მოზარდების კატეგორიაში და ვეცადე მაქსიმალურად ღრმად შემესწავლა საკითხი.

კვლევის მიზანი არის საქართველოში, კერძოდ საჯარო სკოლებში, ჭადრაკის სწავლების ეფექტიანობის დადგენა. არსებული პროგრამის ანალიზი, მისი დადებითი და უარყოფით მხარეების გამოვლენა, რამდენად გამართულია კურიკულუმი და ასწავლიან თუ არა სკოლებში კვალიფიციური პედაგოგები. მოყვანილი არის საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითიც და შედარება არის გაკეთებული საქართველოში არსებული სკოლებში ჭადრაკის სწავლების

პროგრამასა და უცხოეთში არსებულ პროგრამებს შორის. დასკვნითი ნაწილი ეთმობა პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, რეკომენდაციის შემუშავებას და სამომავლო გეგმის ჩამოყალიბებას.

კვლევის ობიექტი- ჭადრაკის სწავლების ეფექტურობის დადგენა საქართველოში საჯარო სკოლების მაგალითზე. გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდი და სამაგიდე კვლევა. ინტერვიუების ჩაწერა მოხდება ფოკუს ჯგუფებთან.

კვლევის ჰიპოთეზა: სკოლებში, სადაც ჭადრაკი ისწავლება უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ ბავშვებს, თუმცა საქართველოს საჯარო სკოლებში ნაკლებად ეფექტურად ხდება ჭადრაკის სწავლება.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები საჯარო სკოლებში ჭადრაკის სწავლებასთან დაკავშირებით. ეს შეეხო არა მხოლოდ ჭადრაკის პროგრამას, ასევე პედაგოგების კომპეტენტურობას.

Resume

Chess is an intelectual style of sport , which is very popular throughout the world. Learning chess for a child is very good for childs development. This fact is proven by many researches.

It is very important to estabilish, how chess helps students in developing of different competencies and how we can use the potencial of chess properly.

The research is up to date, because the quantity of schools, which teaches chess to their students, is significantly risen for a past few years. Chess itself is estabilished in schools for a few years already and it is very important to know how effective are the teaching methods of chess, which schools provide. Teaching chess at school is wide spreaded among the whole world. Also in some countries, learning chess is mandatory for students.

Georgia is a chess country, where many great chess players have risen thoughout the years and it is very important that we must continue this tradition. Teaching chess at schools not only helps students to excercise their brains, but also it helps to make chess more popular throughout the country. In the past decade our teenager chess players, are performing very poorly. It was my interest to find out the reasons which made them perform so poorly comparing to others, and i decided to investigate this issue in depth.

The point of investigation is to know how effective is to teach chess in Georgia, especially in Georgian public schools. I analyzed the current program, it's negative and positive sites, how well organyzed is curriculum, are there professional chess teachers at schools etc... I've compared the teaching methods of chess in foreign countries to Georgian teaching methods of chess. The conclusion is about my recomendations, how to solve these problems and future plans.

The investigation object- the effectivness of teaching chess in Georgian public schools. There are used qualititive reasearch method and desk research and the groups of people will be interviewed.

Research hypthesis: in school where chess is tought, students have higher academic perfomance, however in georgian public schools, chess is less efectively.

According to research results, there are number of problems in teaching of chess in Georgian public schools. These issues include not only chess teaching program, but the competency of chess teachers too.

შინაარსი

შესავალი 1

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა 5

თავი 2. კვლევითი ნაწილი 18

2.1 საჯარო სკოლების ჭადრაკის პედაგოგთა ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი..... 18

2.2 საჯარო სკოლების ჭადრაკის შემსწავლელ მოსწავლეთა მშობლების ინტერვიუს ანალიზი 22

2.3 საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრის ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი 24

თავი 4. პროგრამა ჭადრაკში და სახელმძღვანელოები 33

დასკვნა..... 37

რეკომენდაციები 40

გამოყენებული ლიტერატურა..... 42

შესავალი

ჭადრაკი არის ინტელექტუალური თამაში, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის ელემენტები. ჭადრაკი ხელს უწყობს აზროვნების, ლოგიკის, ყურადღების კონცენტრაციის, მეხსიერების, ნებისყოფის, თვითკრიტიკის განვითარებას, გამარჯვებისაკენ სწრაფვას, ჯდომის კულტურას და სხვა. ჭადრაკის თამაშში მკაფიოდ ვლინდება პიროვნების ხასიათის ინდივიდუალური თავისებურებანი. ჭადრაკის პარტიას თამაშობს ორი მოთამაშე („თეთრი“ და „შავი“ ფიგურებით) კვადრატული, თეთრი და შავი ფერის 64-უჯრედიან დაფაზე თეთრი უჯრა მოთამაშის მარჯვენა მხარეს უნდა იყოს). ორივე მოთამაშეს აქვს 8 ფიგურა (მეფე, ლაზიერი, 2 ეტლი, 2 მხედარი, 2 კუ და 8 პაიკი). (ლასკერი, 1958)

ჭადრაკის შესწავლა ბავშვის გონების გავნითარებისთვის ძალიან კარგია. ეს არაერთმა კვლევამ დაადასტურა. ჭადრაკი ააქტიურებს უმაღლესი მათეამატიკის, გეომეტრიისა და უცხო ენების შესწავლის ნიჭს. (J. Smith, 2014) ჭადრაკი ბავშვებს წესების დაცვას ასწავლის, ადამიანი ბავშვობიდან უნდა შეეჩვიოს ღირსეულად წაგებას, წესების დაცვას, სხვისი მოქმედების წინასწარ გათვლას, ბავშვში ინტელექტუალური შრომისადმი ინტერსს აღძრავს. აიძულებს, ჯერ დაფიქრდეს, შემდეგ იმოქმედოს. ეს სასარგებლო უნარია, რადგან ბავშვების უმრავლესობა, როგორც წესი, პირიქით იქცევა. ჭადრაკი ააქტიურებს ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს. (al., 2010) ეხმარება ზუსტი მეცნიერებების ათვისებაში. ბავშვები, რომლებსაც მარცხენა ნახევარსფერო აქვთ განვითარებული, უფრო შემოქმედებითად აზროვნებენ და დიდ ინტერესს არ ამჟღავნებენ ჭადრაკის მიმართ. არადა სწორედ ეს თამაში დაეხმარება მათ მარჯვენა ნახევარსფეროს გააქტიურებაში. ასწავლის თავიანთი შთაგონების კარგად მართვას, მათემატიკური მეცნიერებების შესწავლას. ჭადრაკის თამაში იცავს ადამიანს ალცჰაიმერის დაავადების განვითარებისგან. კვლევამ დაადასტურა, რომ 75 წელს გადაცილებული ადამიანების ის ნაწილი, რომელიც ჭადრაკს ან სხვა სტრატეგიულ თამაშებს თამაშობენ ან თამაშობდნენ, ძალიან დაბალია იმის

ალბათობა რომ ალცჰაიმერის დაავადება დაემართოთ. (al. J. V., 2003) შესაბამისად ჭადრაკის სწავლება სკოლებში დადებითად აისახება ბავშვებზე. აგრეთვე ჭადრაკის პოპულარიზაციას უწყობს ხელს, თუმცა აუცილებელია სწავლის ადეკვატური სტანდარტების შექმნა და კვალიფიციური კადრების არსებობა.

საზღვარგარეთ არაერთ ქვეყანაში ისწავლება სკოლებში ჭადრაკი. ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებულ შტატები, კანადა, ბრაზილია, თურქეთი, რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და ა.შ.

თურქეთში ჭადრაკი სკოლებში სავალდებულო საგანია. პროგრამაში 2 000 000 მოსწავლეა ჩართული. საფრანგეთის საჭადრაკო ფედერაციამ და ქვეყნის ნაციონალურმა განათლების სამინისტრომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, განათლების სამინისტრო ოფიციალურად აღიარებს ჭადრაკის სარგებლობას განათლებისათვის, რის შედეგადაც სკოლებში დაინერგა ჭადრაკის სწავლება. ამერიკაში, ნიუ-იორკის საჯარო სკოლებში ჭადრაკი ისწავლება როგორც სავალდებულო საგანი. სკოლებში ჭადრაკის სწავლება მიმდინარეობს, სწავლის ხარისხის და თვითშეფასების ამაღლებისთვის. მათთვის ჭადრაკს აქვს გონების ვარჯიშის ფუნქცია და მიმართულია სხვა საგნებში შედეგების გაუმჯობესებისკენ ჭადრაკის გაკვეთილების დახმარებით. კანადაში საჭადრაკო ინსტიტუტის მიზანია ბავშვებისათვის ჭადრაკის გაკვეთილების საშუალებით ცხოვრების გაკვეთილების მიღება: გადაწვეტილების მიღების და პასუხისმგებლობის უნარის გამომუშავება საკუთარი სიტყვების და ქცევების მიმართ. ბრაზილიის სკოლებში ჭადრაკის სწავლება არჩევით ხასიათს ატარებს. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სანგანმანათლებლო სკოლების დაწყებით კლასებში ჭადრაკის, როგორც ცალკე დისციპლინის შემოღების შესახებ, დაწყებით კლასებში სწავლების ორგანიზებისათვის, შესაბამისი ლიტერატურის, მეთოდიკის შესაქმნელად, საჭადრაკო ინვენტარის შესაძენად და კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. (ესებუა, 2014)

ჩინეთში, კერძოდ ბეიჯინგში ჭადრაკი ისწავლება სკოლებში. სკოლაში ჭადრაკის სწავლება ბეიჯინგის სკოლებში მიმართულია ჭადრაკის

პოპულარიზაციისკენ. მოგეხსენებათ ჩინეთის საჭადრაკო სკოლა ბოლო პერიოდში ძალიან გაძლიერდა და ახალი თაობის წარმომადგენლები ფაქტობრივად უკონკურენტოდ იმარჯვებენ მოზარდთა ტურნირებში. ეს მათი პოლიტიკიდან გამომდინარე მოდის. სკოლებში ისინი ბავშვებს ჭადრაკს აყვარებენ და ნიჭიერ ბავშვებს შემდგომში საჭადრაკო აკადემიებში უკეთებენ რეკომენდაციას. ჩინეთის საჭადრაკო აკადემიები განსხვავდება სხვა საჭადრაკო აკადემიებისაგან. ჩინეთში ამ დაწესებულებებს ჰქვია საჭადრაკო სკოლები, სადაც ბავშვები გაძლიერებულად სწავლობენ ჭადრაკს.

საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა და მსოფლიოს თერთმეტგზის ჩემპიონმა ჭადრაკში გარი კასპაროვმა 2012 წელს მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მემორანდუმი მოზარდთა შორის ჭადრაკის პოპულარიზაციასა და საქართველოს სკოლებში პროგრამის – KCFE დანერგვას ითვალისწინებდა. პროგრამა კომპიუტერულია და მის შექმნაზე კასპაროვთან ერთად, ევროპის საჭადრაკო ლიგაც მუშაობდა. საქართველო პირველი ქვეყანა იყო მსოფლიოში, სადაც ეს მეთოდი დაინერგა. კასპაროვის მიერ შექმნილი პროგრამა გულისხმობს ჭადრაკის სწავლებას კომპიუტერული მეთოდით. ელექტრონული სწავლების პროგრამა 2012 წლის სექტემბრიდან ამოქმედდება და იგი ჭადრაკის პოპულარიზაციის გარდა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაინერგა. გარი კასპაროვი მიიჩნევს, რომ ჭადრაკი არის არა სპორტის სახეობა, არამედ განათლების სისტემის გაუმჯობესების ახალი და იაფი საშუალება, იგი მოზარდებში ინტელექტუალური აზროვნებისა და ლოგიკის განვითარებას ემსახურება. ”როცა ბავშვის აღზრდაში ჭადრაკი ერთვება, მას სამყაროზე უკეთესი წარმოდგენა ექმნება და აზროვნებას იწყებს, რადგან ჭადრაკის თამაში ანალიზს მოითხოვს. გარდა ამისა, ის ბავშვს პასუხისმგებლობას, სიფრთხილესა და დადგენილი წესების მკაცრად დაცვას აჩვევს, რაც საბოლოოდ სწავლის ხარისხზე აისახება… ჭადრაკის სწავლების დანერგვა ქვეყანას კიდევ არაერთი ნიჭიერი ადამიანის წარმოჩენაში დაეხმარება” – აცხადებს დიდოსტატი. (edu.aris.ge, n.d.)დიდოსტატი დარწმუნებულია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო

სკოლებში ჭადრაკის დანერგვა სწავლის ხარისხს გააუმჯობესებს. დღემდე სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით მიმდიანარეობს ელექტრონული სწავლების პროგრამით, რომელიც მეორე და მესამე კლასებისთვის არის გათვლილი.

ნაშრომი აქტუალურია, რადგან სკოლების რაოდენობა, სადაც ჭადრაკი ისწავლება, მნიშვლენოვნად გაიზარდა. ჭადრაკი სკოლებში უკვე რამდენიმე წელია დაინერგა და საინტერესოა გავიგოთ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს ჭადრაკის შესწავლა საჯარო სკოლებში. კვლევის სიახლე უდაოა, რადგან საგანმანათლებლო სტრუქტურების მიერ სკოლებში ჭადრაკის სწავლების შესახებ მხოლოდ ერთი კვლევა არის ჩატარებული The 2nd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education) 6-7 June, 2014. Materials, მეგი ესებუა, ჭადრაკის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. სხვა კვლევა სკოლებში ჭადრაკის სწავლების ეფექტურობასა, კომპეტენტურობასთან დაკავშირებით არ არის. ვფიქრობ საქართველოს საჯარო სკოლებში ჭადრაკის სწავლების ეფექტურობის დადგენა ძალიან მნიშვნელოვანია იმ ფონზე, რომ საქართველოს აქვს ძალიან დიდი საჭადრაკო ტრადიცია და ის სწავლება და სწავლების მეთოდები, რომელსაც წლების მანძილზე იყენებდნენ საქართველოში ჭადრაკის სასწავლებლად, წარმატებით დაინერგოს საქართველოში არსებულ საჯარო სკოლებში და დაეხმაროს ბავშვებს ჭადრაკის გაკვეთილები შემდგომში სხვა საგნების მარტივად ათვისებაში.

კვლევის მიზანი არის საქართველოში, კერძოდ საჯარო სკოლებში, ჭადრაკის სწავლების ეფექტიანობის დადგენა. არსებული პროგრამის ანალიზი, მისი დადებითი და უარყოფით მხარების გამოვლენა. რამდენად გამართულია კურიკულუმი. ასწავლიან თუ არა სკოლებში კვალიფიციური პედაგოგები და ა.შ. პრობლემების არსებობის შემთხვევაში გადაჭრის გზების ძიება და რეკომენდაციის და სამომავლო გეგმის ჩამოყალიბება. უცხოური გამოცდილების გაზიარება და უცხოური სწავლების მეთოდების დანერგვა ქართულ რეალობაში.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში გამოყენებული იქნება სხვადასხვა ტიპის ლიტერატურა როგორც ქართული, აგრეთვე უცხოური. პირველ რიგში განხილული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმა. (დაწყებითი საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024) (პორტალი, თ. გ.) ეროვნული სასწავლო გეგმის დოკუმენტის თანახმად ჭადრაკი საჯარო სკოლებში ისწავლება მეორე და მესამე კლასებში ელექტრონული სასწავლო პროგრამის მიხედვით, თუმცა ყველა საჯარო სკოლაში არ არის სწავლება ელექტრონული სასწავლო პროგრამით. ამ პროგრამის გარდა არანაირ სხვა სტანდარტზე არ არის საუბარი საჯარო სკოლებში. ჩავატარე სატელეფონო და ელექტრონული გამოკითხვა, რომლის შევეხმიანე თბილისში არსებულ 38 საჯარო სკოლას, სადაც არსად არ იყო ელექტრონული სასწავლო პროგრამით სწავლება. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მხოლოდ წერია ელექტრონული სასწავლო პროგრამით სწავლება ეროვნულ სასწავლო გეგმაში და რეალურად თითქმის აღარ ისწავლება ამ პროგრამით საჯარო სკოლებში.

2015 წლიდან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა ჭადრაკის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა, (სამინისტრო, თ. გ.)სადაც მოხდა თითქმის ყველა ასპექტში საჭადრაკო აქტივობების მხარდაჭერა, ერთდადერთი ასპექტი რომელიც საერთოდ ნახსენებიც კი არ იყო, ეს იყო სკოლებში ჭადრაკის სწავლება. არანაირი ხელშეწყობა ამ ეტაპზე არ ხდება სკოლებში ჭარაკის სწავლებასთან დაკავშირებით.

იმის შესახებ თუ რამდენად დადებითად აისახება ჭადრაკის სწავლება სკოლებში მრავალი კვლევა ჩატარდა. ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი დადო კვლევამ, რომელიც ჭადრაკის გავლენას სწავლა განათლებაში ეძღვნება. შემდეგი უცხოური ლიტერატურა, რომელიც უნდა განვიხილოთ, გახდა ნათელი მაგალითი ჭადრაკის სწავლების დადებითი გავლენის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ეს ლიტერატურა გახლავთ The benefits of chess in education, Patrick S. McDonald. მოცემული ნაშრომი შედგება რამდენიმე წლიანი კვლევისგან. რომელიც ძალიან მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის განათლებაში ჭადრაკის გავლენასთან

დაკავშირებით. მაგალითისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ამერიკის შეერთებულ შტატებში და კანადაში ჩატარებული კვლევები, რომელიც განხილულია ამ ნაშრომში. ნიუ იორკში ჩატარდა კვლევა, რომელშიც მონაწილეობდა 100 სკოლის 3 000-მდე მოსწავლე. მათ დაურიგდათ ტესტები ინგლისურსა და მათემატიკაში. ტესტების შედეგების განხილვის შემდეგ, აღმოჩნდა რომ, იმ ბავშვების ქულები, რომელიც სკოლაში სწავლობდნენ ჭადრაკს, მაღალი იყო ვიდრე ბავშვებისა, რომელნიც არ იყვნენ ჩართულნი ჭადრაკის სწავლებაში. (McDonald, 2007)

ჰიუსტონში, ტეხასში, ბრედფორდში და პენსილვანიაში ჩატარებული ვათსონ გლეისერის კრიტიკული აზროვნების შეფასების და შემოქმედებითი აზროვნების ტესტების მიხედვითაც, შედარებით მაღალი ქულები მიიღეს მოსწავლეებმა რომლებიც შეისწავლიდნენ ჭადრაკს. (McDonald, 2007) კვლევების შედეგების გათვალისწინებით ამერიკის შეერთებული შტატების ჭადრაკის ფედერაციის სლოგანი გახდა ''Chess Makes Kids Smart'' (ჭადრაკი ბავშვს ჭკვიანს ხდის). უფრო ზუსტ ინფორმაციას და მონაცემებს ამერიკაში ჩატარებული კვლევების შესახებ დაბლა მოგახსენებთ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა რამდენიმე კვლევა, რომლის მიზეზიც იყო იმის გარკვევა თუ რამდენად ეხმარება ჭადრაკი მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში და ყველაზე მეტად კონკრეტულად რომელ უნარს ანვითარებენ. ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევა გახლავთ გახლავთ ამერიკის საჭადრაკო ფონდის მიერ ჩატარებული 4 წლიანი კვლევა, რომელიც მოსწავლეებზე ჭადრაკის სწავლების გავლენას აკვირდებოდა წლების მანძილზე. კვლევამ მოიცვა შემდეგი ასპექტები: კითხვა, კრიტიკული აზროვნება, კრეატიული აზროვნება, მეხსიერება და ლინგვისტური უნარჩვევები.

პირველადი დამოუკიდებელი ცვლადები რომლებიც მიმოხილულია ამ შეჯამებაში, არის საჭადრაკო ჯგუფი და ჯგუფი რომელიც შედგება სხვა დანარჩენი არასაჭადრაკო დარგის შემსწავლელთაგან. თითოეული ჯგუფის წევრები ერთმანეთს ოცდათორმეტი კვირის განმავლობაში, კვირაში ერთხელ ხვდებოდნენ და უშუალოდ მათთვის განკუთვნილ არეალში იყრიდნენ თავს სასწავლებლის ტერიტორიაზე, რათა ერთობლივად ემუშავათ საკუთარ

ინტერესის სფეროზე. მათ ზედამხედველობდა საშუალო განათლების მქონე კოორდინატორი, კერძოდ რობერტ ფერგიუსონი. ჯგუფების უმეტესობამ მუშაობის პროცესში 60-64 საათი გაატარა. სტუდენტებს ზემოთხსენებულ პერიოდამდე და მის შემდეგაც ჩაუტარდათ ტესტირება კრიტიკულ აზროვნებაში, სადაც მოჭადრაკეებში საგრძნობლად დიდი განსხვავება შეინიშნებოდა პრეტესტის შედეგებსა და პოსტტესტის შედეგებს შორის: (McDonald, 2007)

დიაგრამა 1. საჭადრაკო ჯგუფის პრეტესტი და საბოლოო ტესტირების შედარება კრიტიკულ აზროვნებაში



მოცემული ცხრილი ეკუთვნის საჭადრაკო ჯგუფს, რაც ნიშნავს რომ 32 კვირის მანძილზე გაცილებით უკეთესი შედეგი დადეს მოსწავლეებმა. მათი საშუალო მაჩვენებელი 10.53-ით გაიზარდა. (McDonald, 2007)

ცვლადები	რაოდენობა	საშუალო
პრეტესტი	15	62.80
საბოლოო ტესტი	15	73.33
სხვაობა		10.53

ხოლო მეორე არასაჭადრაკო ფოკუს ჯგუფისთვის, მხოლოდ 1.86-ით გაიზარდა. განსხვავება ძალიან დიდი აღმოჩნდა.

ცვლადები	საშუალო
არასაჭადრაკო ჯგუფი	1.86
საჭადრაკო ჯგუფი	10.53
სხვაობა	8.67

ამრიგად პრე და პოსტტესტების შედეგების შესწავლის შემდეგ გამოჩნდა, რომ ყველა მოჭადრაკემ ერთის გარდა აჩვენა ზრდა თავისი ნედლი ქულების. საშუალო ნედლი ქულების ზრდა მოჭადრაკეებში იყო 10.53, ხოლო მოჭადრაკეების შედეგების პროცენტული ზრდა ყოველწლიურად იყო 17.3%, რაც საკმაოდ მაღალია, როდესაც ზოგადად სხვა მოსწავლეებს ასეთი შედეგების ყოველწლიური ზრდა არ აღენიშნება. ზემოთხსენებულ შედეგებზე დაყრდნობით, თამამად შეიძლება ითქვას რომ ბრედფორდის ჭადრაკის ჯგუფმა საგრძნობლად უკეთესი მაჩვენებელი დადო სხვა ჯგუფებთან შედარებით.

კრეატიული აზროვნების კვლევისას. ფოკუს ჯგუფებში მოხვდნენ ერთი და იგივე კლასის ბავშვები, 7-9 კლასების ჩათვლით. პირველ ფოკუს ჯგუფის შემთხვევაში მოხვდნენ ბავშვები, რომელიც ჭადრაკს შეისწავლიდნენ, ხოლო მეორე ფოკუს ჯგუფში-არა. მოცმულ ორ ფოკუს ჯგუფს შორის შედეგი ძალიან განსხვავებული აღმოჩნდა. იხილეთ ცხრილი #4:

დიაგრამა 2. კრეატიულობის ტესტი, შედარება საჭადრაკო და არასაჭადრაკო ჯგუფების სამ ასპექტში: გამართულ მეტყველებას, მოხერხებულობას და ორიგინარულ აზროვნებას შორის.



კრეატიული აზროვნების ტესტი მოიცავდა სამ ასპექტს: გამართულ მეტყველებას, მოხერხებულობას და ორიგინარულ აზროვნებას. ჩამოთვლილ სამივე ასპექტში მოჭადრაკეთა ჯგუფმა გაცილებით დიდი შედეგი აჩვენა. (McDonald, 2007)

კვლევის ფარგლებში ჩატარდა აგრეთვე დაკვირვება მეხსიერებასთან დაკავშირებით. მოსწავლეებს ჩაუტარდათ პირველი ტესტი პირველი სემესტრის დასაწყისში 21 სექტემბერს და უკვე მეორე სემესტრის ბოლოს, 31 მაისს, ჩატარდა მეორე ტესტი. (იხილეთ ცხრილი #5)

დიაგრამა 3. მახსოვრობის ტესტი საჭადრაკო ჯგუფისათვის



პირველ ტესტირებასა და მეორე ტესტირებას შორის ვხედავთ მკაფიო სხვაობას. თითქმის ყველა მოსწავლემ საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი შედეგი სასწავლო წლის მანძილზე ჭადრაკის შესწავლის შედეგად.

ცვლადები	რაოდენობა	საშუალო
პრეტესტი	14	597.786
საბოლოო ტესტი	14	727.786
სხვაობა		130

მონაცემების მიხედვით კარგად ჩანს ორ შედეგს შორის სხვაობა. ქულების გაუმჯობესება მოხდა საშუალოდ 130-ით რაც იმაზე ბევრად დიდი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა ჯგუფებისთვის, სადაც ჭადრაკი არ ისწავლებოდა.

ცვლადები	რაოდენობა	საშუალო
პრეტესტი	14	568.214
საბოლოო ტესტი	14	620.714
სხვაობა		52.5

როგორც ხედავთ არასაჭადრაკო ჯგუფის შემთხვევაშიც ჩანს სხვაობა ორ შედეგს შორის, თუმცა იმხელა არა რაც ჭადრაკის შემსწავლელ ჯგუფისათვის დაფიქსირდა.

სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS). მოცემული კვლევა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კვლევაა. ეს არის პირველი საერთაშორისო კვლევა, რომელიც კომპლექსურად შეისწავლის მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს: პროფესიული განვითარება, შეფასება და უკუკავშირი,პროფესიითა და სამუშაო ადგილით კმაყოფილება, მასწავლებლების სკოლაში საქმიანობა, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მეთოდები, ღირებულებები და დამოკიდებულებები. კვლევის მიზანია, დაეხმაროს კვლევაში მონაწილე ქვეყნებს მასწავლებლის პროფესიის განვითარებაზე ორიენტირებული ეფექტიანი პოლიტიკის დანერგვაში. (სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS), ეროვნული ანგარიში)

მეგი ესებუას კვლევა: ჭადრაკის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (ესებუა, 2014), რომელიც არის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი კვლევა. ავტორი ჩატარებული კვლევის შედეგად ასკვნის, რომ საქართველოში ჭადრაკის მასწავლებელთა კომპეტენცია არ რეგულირდება სახელმწიფოს მიერ.

გაანალიზება მოხდა მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების ტესტის ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, რომელზეც ცალკე ვისაუბრებთ, რადგან

ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. აგრეთვე გრიფირებული ჭადრაკის სახელმძღვანელოები: ჭადრაკი, პირველი დონე, გიორგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე. საქართველოს მაცნე, 2012წ; ჭადრაკი, მეორე დონე, გიორგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე. საქართველოს მაცნე, 2012 წ; ჭადრაკი, მესამე დონე, გიორგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე. საქართველოს მაცნე, 2012 წ. მათ შესახებაც ცალკე იქნება საუბარი, რადგან ვთვლი რომ სახელმძღვანელოს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესის ნაყოფიერად წარმართვისათვის.

ძალიან საინტერესოა განვიხილოთ გობერტ გამპიტელის „ჭადრაკის სარგებლობა განათლებაში.“ (Gobet, 2006), სადაც იგი საუბრობს, რომ ჭადრაკის უნარების ფსიქოლოგიის შესახებ. იგი თვლის, რომ გარდა აღმზრდელობითი ინტერესისა, დიდი რაოდენობით კვლევა ჩატარდა ჭადრაკის თამაშის ფსიქოლოგიის შესასწავლად და საკმაოდ ბევრი რამაა ცნობილი. ჭადრაკის შემეცნებითი საფუძვლების შესახებ (Charness, 1992: De Voogt & Retschitzki, წერს პრესაში). ზოგადად, ემპირიული მტკიცებულება ადასტურებს, რომ ვარჯიში აუცილებელია მაღალი დონის პერფორმანსისთვის. იმისთვის რომ იყო ჭადრაკში სხვებზე უკეთესი, საჭიროა შესაბამისი ცოდნის შეძენა, რაც ასევე მოიცავს დიდი რაოდენობით ჭადრაკის სპეციფიკური ნიმუშების დამახსოვრებას, რათა განვსაზღვროთ სწორი სვლები, შეფასება და მიზნები (Simon & Chase, 1973: Gobet & Simon, 1996). ჭადრაკის ექსპერტობა ასევე მოითხოვს სივრცეში შესაძლებელი სწორი განლაგების გათვლის უნარს. ამ უნარის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია შესაბამისი ცოდნა, ცოდნა რომელიც საშუალებას აძლევს მოთამაშეებს არჩევითად შეიმუშაონ და განსაზღვრულად შეაფასონ საჭადრაკო პოზიციები (Simon & Chase, 1973: Gobet & Simon, 1998). ჭადრაკის ექსპერტიზის გამოსათვლელი მოდელები უზრუნველყოფენ შემეცნებას და მეხსიერების უნარის ჩამოყალიბებას მოთამაშეებში, დამწყებიდან ოსტატამდე. (De Groot & Gobet, 1996: Gobet & Simon, 1996: 2000); ჩვეულებრივ, ეს მოდელები ხაზს უსვამენ ვარჯიშისა და ცოდნის მიღების როლს, რომელიც საჭიროა ჭადრაკის ექსპერტობისთვის (100 000ზე მეტი ნიმუშის ცოდნაა საჭირო ექსპერტის დონის პერფორმანსისთვის) შესაბამისად, განსხვავებული დონის ცოდნა განსაზღვრავს განსხვავებული დონის

მოთამაშეს.

ჭადრაკის თამაშის უნარი რომ სპეციფიკურია, ეს კარგადაა ილუსტრირებული ბავშვებთან მუშაობის და მათი შესწავლის პროცესში. ჩი (1978) ისევე როგორც შნაიდერი, გრუბერი, გოლდი და ოპვისი (1993) შეისწავლიდნენ ჭადრაკის ექსპერტიზის როლს, თუ რა გავლენა ჰქონდა მას მეხსიერებაზე, ისევე როგორც ბავშვებში ასევე ზრდასრულებშიც. კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ მოჭადრაკე ბავშვებმა საგრძნობლად აჯობეს ზრდასრულ არამოჭადრაკეებს, მოკლედ წარმოდგენილ ჭადრაკის პოზიციებში, მაგრამ ზრდასრულები ბევრად უკეთესები იყვნენ ციფრების და სიების დამახსოვრებაში.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ უამრავი დებატი არსებობს უნარების სხვაობაზე, ბევრი ფსიქოლოგის, პედაგოგის და პოლიტიკოსის (განათლების სფეროში) აზრით, ეს განსხვავება მინიმალურია. მტკიცებულების პირველი წყარო უნდა განვიხილოთ იმის დასადასტურებლად, განსხვავდება თუ არა მოჭადრაკეების ჯგუფი საერთო მოსახლეობისგან უნარების მხრივ. (Gobet, 2006)

აქვთ თუ არა მოჭადრაკეებს რაიმე განსაკუთრებული შემეცნებითი უნარები? ეს კითხვა დასვა გოლბერტ კამპიტელიმ თავის ნაშრომში და ეცადა მაქსიმალურად გაეცა პასუხი მის მიერ დასმულ კითხვაზე. თუ ჭადრაკს აქვს დადებითი გავლენა ინტელექტზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოჭადრაკეები უფრო ინტელექტუალურები არიან სხვა დანარჩენ საზოგადოებასთან შედარებით. კვლევებმა, რომლებიც ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩატარდა, სხვადასხვა შედეგი აჩვენა. პირვანდელ კვლევებში, ჯაკოვი, პეტროვსკი და რუდიკი (1927), რომლებიც შეისწავლიდნენ 8 იმ დროისთვის საუკეთესო დიდოსტატისგან შემდგარ ჯგუფს, ვერ აღმოაჩინეს ვერანაირი განსხვავება საცდელი ობიექტებისგან ზოგად განათლებასა და მხედველობით მეხსიერებაში. ერთადერთი განსხვავება იყო იმ დავალებებში, რომლებიც ჭადრაკთან იყო დაკავშირებული. დიდოსტატები ოდნავ უკეთესად იმახსოვრებდნენ სვლებს 8x8 მატრიქსში. და აჩვენეს საგრძნობი უპირატესობა, როდესაც ჭადრაკის ფიგურები იყო გამოყენებული ამ დავალებაში. უფრო გამამახნევებელი შედეგები აღმოაჩინეს დოლლმა და მეირმა (1987), რომლებმაც შეადარეს ჭადრაკის ოსტატები

არამოჭადრაკეებს ბერლინის დაზვერვის სტრუქტურული მოდელის ტესტში. მათ აღმოაჩინეს რომ ოსტატებმა საგრძნობლად უკეთესი შედეგი აჩვენეს ზოგად ინტელექტსა, და იმ დავალებებში, რომლებიც დაკავშირებული იყო ინფორმაციის დამუშავებასთა, მუშაობის სიჩქარესთან და მათემატიკურ აზროვნებასთან. სამაგიეროდ მათი შედეგი არ იყო უკეთესი ვიზუალურ-სივრცით დავალებებში. მსგავსი შედეგები აღმოჩნდა ბავშვებშიც. ფრიდმანი და ლინი (1992) შეისწავლიდნენ ახალგაზრდა ბელგიელი მოჭადრაკეების (დაახლოებით 11 წლის) გონებრივ შესაძლებლობებს ფრანგული ვეშსლერის ინტელექტის სკალის გამოყენებით, სადაც უამრავი აიქიუ ტესტი იყო რომლებსაც ჰქონდათ ვერბალური და პერფორმანსის სკალები. მათ აღმოაჩინეს რომ საკვლევ ობიექტებს საშუალოზე უფრო მაღალი აიქიუ აღმოაჩნდა ისევე როგორც მათემატიკურ ნაწილში ასევე ვერბალურში, თუმცა ვერბალური აიქიუ შედარებით დაბალი იყო მათემატიკურთან შედარებით. საბოლოოდ, უკეთეს მოჭადრაკეებს უფრო მაღალი აიქიუ აღმოაჩნდათ ვიდრე შედარებით სუსტ მოჭადრაკეებს. განსხვავებულ კვლევაში, რომელიც ასევე ბავშვებში ჩატარდა, რომელიც ჰორგანმა და მორგანმა (1990) ჩაატარეს, აჩვენა, მათ საკვლევ ობიექტებს შორის საუკეთესო მოჭადრაკეებმა (11 წლის მოზარდები) უკეთესი ზოგადი შედეგი აჩვენეს რავენის პროგრესული მატრიცის ინტელექტის ტესტსა და პიაგეტიანის დავალებაში, რომელიც ზომავდა ბავშვების უნარს, გამოეყენებინათ კომბინატორული ლოგიკა ფორმალურ ოპერაციებში; (კუჰნი და ბრენოკი 1977). განსხვავებულ კვლევაში, რომელიც 1992 წელს ჩაატარა, ჰორგანი დაინტერესებული იყო, თუ როგორ შეეძლოთ ეწინასწარმეტყველათ საკუთარი პერფორმანსის დონე ახალი ოპონენტების წინააღმდეგ. მან აღმოაჩინა, რომ მოჭადრაკე ბავშვები ამ დავალებას უკეთ ართმევდნენ თავს, ვიდრე არამოჭადრაკე მშობლები ან თუნდაც სტატისტიკის სტუდენტები. (Gobet, 2006)

ამრიგად მოცემული ნაშრომიდან გამომდინარე, გობეტ კამპიტელი ჭადრაკის სწავლების მნიშვნელობაზე საუბრობს განათლების სივრცეში და მის უდაოდ მნიშვნელოვან გავლენაზე.

საინტერესოა აგრეთვე განვიხილოთ უახლესი კვლევა, რომლის შედეგებიც გამოქვეყნებული იქნა 2019 წელს. ეს არის George Chitiyo Ph.D., Lisa Zagumny, Ph.D., Ashley B. Akenson, Ph.D., Michael Littrell, Krista Davis, Kevin Besnoy, Ph.D. 2019. „Teaching with Chess: Exploring the Relationship between Chess and Student Learning Outcomes“, რომელიც უახლესია და უმნიშვნელოვანესი სკოლებში ჭადრაკის სწავლასთან დაკავსრებით. ნაშრომში კარგად არის განხილული ჭადრაკის სწავლების გავლენა სხვა საგნების ათვისებასთან დაკავშირებით. კვლევა აღწერს პირველ, მეორე და მესამე წლებს ხუთ წლიანი კვლევისა რომელმაც გამოიკვლია ჭადრაკის სწავლება დაწყებით და საშუალო კლასებში. შეფასდა ჭადრაკის გამოყენების კავშირი მთავარი საგნების სწავლისა და კრიტიკული აზროვნების უნართან (ისევე როგორც სხვა 21_ე საუკუნის უნარებთან). საკონტროლო ჯგუფი შედგებოდა სტუდენტებისგან, რომლებისთვისაც უცხო იყო ჭადრაკის ან სხვა მსგავსი ალტერნატიული სწავლების სტრატეგია.

ჯერი ნაშთან კონსულტაციის დროს, რომელიც კერძო ჭადრაკის განათლების კონსულტანტი იყო, მონაწილე პედაგოგებმა შეიმუშავეს სასწავლო გეგმა, თუ როგორ ესწავლებინათ ჭადრაკი, სტუდენტების ყველა საჭირო მოთხოვნილების გათვალისწინებით. შედეგები რომლებიც დაჯამდა და ამ ანგარიშშია აღწერილი, მოიცავს კრიტიკულ აზროვნებას, რომელიც გაიზომა კორნელის კრიტიკული აზროვნების ტესტით და მოსწავლეების მოხერხებულობას რომელიც მათი პედაგოგების მიერ შეჯამდა. მესამე წელს, მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მონაწილეობა მიიღეს გამოკვლევებში, სადაც შეფასდა მათი აღქმა ჭადრაკის ინსტრუქციის გავლენის შესახებ.

ალაბამას "ჭადრაკი სკოლებში" მეთოდოლოგია ფოკუსირებული იყო გადაემზადებინა პედაგოგები, რათა მათ გამოეყენებინათ ჭადრაკი სასწავლო გეგმის სტანდარდების სწავლების საშუალებად, ასევე მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და 21_ე საუკუნის სხვა უნარების გასაუმჯობესებლად. მონაწილე სკოლებმა მიიღეს სხვადასხვა შესაბამისი დაფინანსება. უპირატესობა მიენიჭათ იმ სკოლებს სადაც კვლევამდე არასდროს ასწავლიდნენ ჭადრაკს. იმის გამო რომ ალაბამას შტატის ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა რისკის ქვეშ მყოფი

სტუდენტების გამოკვლევა, უპირატესობა იმ სკოლებს მიენიჭათ, სადაც ყველაზე დიდი იყო რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების პოპულაცია. ფინანსური მხარდაჭერის გამო სკოლები დათანხმდნენ მონაწილეობა მიეღოთ პროგრამაში. ამ პროგრამაში ასევე ჩართულები იყვნენ ჭადრაკის პედაგოგები და მათ სკოლის გარკვეული უბნის ზედამხედველობა დაევალათ. ასევე სკოლებს დაევალათ საკვლევი ობიექტების მიმართ განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება და კოორდინირება. ამ სამ საფეხურიანმა პროგრამამ მინიმალურად შეამცირა პროგრამის მარცხი. თითოეულმა სკოლის უბანმა ხელი მოაწერა მემორანდუმს, რომ ესმოდათ და ხაზს უსვამდნენ სკოლისა და ACIS სერვისის პროვაიდერის უფლება მოვალეობებს. სკოლის მოვალეობებში შედიოდა კვლევებში მონაწილეობის მიღება, საკვანძო მოვლენების აღნიშვნა და პრობლემების მენეჯმენტი. ადმინისტრაცია ყოველ მარტს ესწრებოდა რათა გაეგოთ ინიციატივის ვადები და მოლოდინები. ტრეინინგებმა პედაგოგებს გააცნო ჭადრაკი და ასევე ხაზი გაესვა კურიკულუმის კავშირს ლიტერატურასთან, მათემატიკასთან, კრიტიკულ აზროვნებასთან და ცხოვრებისეულ უნარებთან. გარდა ამისა, პედაგოგებმა შეიმუშავეს საგაკვეთილო გეგმა ჭადრაკის გამოყენებით, რათა ესწავლებინათ კურიკულუმის საგანი და ისწავლეს როგორ გამოეყენებინათ ონლაინ თამაშის და ონლაინ სწავლების ტექნოლოგია ChessKid_ის დახმარებით. პირველი ზაფხულის შემდეგ დაბრუნებულმა პედაგოგებმა მონაწილეობა მიიღეს ორ დღიან ტრენინგში რომელიც მიზნად ისახავდა ჭადრაკის უნარების განვითარებასა და გაკვეთილების დაგეგმარებას.

დაბრუნებული პედაგოგები ასევე უზიარებდნენ ცოდნას სხვა დამწყებ პედაგოგებს საერთო სხდომების საშუალებით. პედაგოგებს სრული თავისუფლება მიეცათ იმაში, თუ რა სახით შეიტანდნენ ჭადრაკს საკუთარ კლასებში, თუმცა მათ კვირაში 1-2 საათი მაინც უნდა დაეთმოთ ჭადრაკის, ან ჭადრაკზე დაფუძნებული გაკვეთილებისთვის. ACIS support მოიცავდა ონლაინ ბიბლიოთეკას რომელიც შედგებოდა პედაგოგების მიერ შექმნილი სასწავლო გეგმებისგან. სწავლებებმა აჩვენა რომ ჭადრაკის სწავლა და თამაში ზრდის აღმასრულებელი და კრიტიკული აზროვნების უნარებს, თუნდაც ჭადრაკის თამაშის დროსაც. იმის გამო, რომ ეს

შეიძლება სიმართლე იყოს, "ჭადრაკი სკოლებში"_ის მეთოდოლოგია ცდილობს გადმოიტანოს ეს უნარები აბსტრაქტულიდან კონკრეტულ დარგში. უნარების ამ სახის გადაცემასთან მიზნობრივი მიდგომით, მკვლევარებს იმედი აქვთ, რომ მოსწავლეები საკუთარ უნარებს უფრო სწრაფად და მარტივად განავითარებენ საკუთარი ნების შესაბამისად. "ჭადრაკი სკოლებში" პროგრამა ატარებს გაკვეთილებს, რომელებიც მიზნად ისახავს მოსწავლის ლექსიკისა და აზროვნების უნარების განვითარებას. ეს პროცესები შემდეგ პირდაპირ მიბმულია სტანდარტულ და აკადემიურ უნარებთან: კითხვის, მათემატიკის, სოციალური მეცნიერებების, ზოგადად მეცნიერებებისა და ცხოვრებისეულ უნარებთან. მოსწავლეები და პედაგოგები აკადემიური გაკვეთილის დროს ერთობლივად განსაზღვრავენ, აანალიზებენ და ვარჯიშობენ ყველა საჭირო სააზროვნო უნარზე, რომელიც დაკავშირებულია ჭადრაკთან, რომლებიც საჭიროა პრობლემების აღმოსაფხვრელად ანდა რაიმე მიზნის მისაღწევად, ისევე როგორც აკადემიურ დონეზე, ასევე რეალურ ცხოვრებაში. ეს მეთდოლოგია მოითხოვს, რომ პედაგოგებმა გამოიყენონ სპეციალური ენა, რათა გააღვიძონ მოსწავლეებში ჭადრაკის აზროვნება, რადგან ისინი წარუდგენენ მოსწავლეებს გაკვეთლს რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აკადემიურ სტანდარტებთან და პრაგმატულ დავალებებთან. ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ როგორ იფიქრებდა და მოიქცეოდა ჭადრაკის მოთამაშე ამა თუ იმ სიტუაციაში. მოსწავლეებს უყალიბდებათ ჭადრაკის მოთამაშის აზროვნება. გარდა ამისა, სტანდარტებზე დაყრდნობილი აკადემიური გაკვეთილები, პირდაპირ დაკავშირებულია ჭადრაკთან, მათში გამოყენებულია საჭადრაკო ლექსიკა, მეტაპორები, შედარებები და აგრეთვე საჭადრაკო კომპლექტი, რათა უფრო გამყარდეს კავშირი საჭადრაკო აზროვნებასა და აკადემიურ ან ცხოვრებისეულ სიტუაციებს შორის. მაგალითად ჭადრაკის დაფა შესაძლოა გამოვიყენოთ როგორც რუკა, ხოლო ჭადრაკის ბადე გამრავლება, გაყოფის სავარჯიშოდ. ტაქტიკური ჭადრაკის ამოცანები შეგვიძლია გამოვიყენოთ შესაჯამებელ მოდელებად, შედეგების განსახილველად და ინფორმაციული გადაწყვეტილებების მისაღებად. ტრენინგის სესიების დროს პედაგოგებს სთხოვენ

წარადგინონ საკუთარი სასწავლო გეგმა, რომელიც დაუკავშირებს ჭადრაკს შესაბამის სწავლების საფეხურს და თუ რას ასწავლიან ისინი საკუთარ ინდივიდუალურ კლასებს. კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროგრამის წარმთებისთვის ჯგუფური მუშაობა, პედაგოგისა და სტუდენტის ურთიერთგაგება, პედაგოგის წარმომავლობა, სკოლა და სასწავლო სისტემა, რომელთა გარეშეც ინტერვენციის სიძლიერე სწრაფად ქრება. ენთუზიაზმით აღსავსე მწვრთნელები, რომლებსაც ასევე შეუძლიათ პროგრამის კონცეპციების და უპირატესობების ჩვენება ადმინისტრატორებისთვის და პედაგოგებისთვის და ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ფულადი რესურსი წარმატებული "ჭადრაკი სკოლებში "პროგრამის გასაშვებად. (George Chitiyo Ph.D., 2019)

ეს მოხსენება მოიცავს შედეგებს პროგრამის განხორციელებიდან პირველი სამი წლის განმავლობაში (2015-16, 2016-17 და 2017-18) მოხსენება დაყოფილია 4 სექციად:

1. პირველი სექცია ასახავს კრიტიკული აზროვნების შეფასებას 3 წლის განმავლობაში2015-17
2. მეორე სექცია გვიჩვენებს 21_ე საუკუნის უნარების კვლევის შედეგებს 3 წლის განმავლობაში.
3. მესამე სექცია ასახავს პედაგოგების მიმოხილვას ჭადრაკის შესახებ 2018 წლის გაზაფხულში
4. მეოთხე და საბოლოო სექცია ასახავს მოსწავლეების მიმოხილვას ჭადრაკის შესახებ 2018 წლის გაზაფხულში. (George Chitiyo Ph.D., 2019)

მოცემული კვლევის შედეგად დაიდო დასკვნა, რომ ჭადრაკი ბავშვებს ეხმარება მთელი რიგი კომპეტენციების გაუმჯობესებაში. ყველა ასპექტში ჭადრაკის შესწავლის შედეგად ბავშვებმა გააუმჯობესეს თავიანთი შედეგები. (George Chitiyo Ph.D., 2019)

თავი 2. კვლევითი ნაწილი

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია- გამოყენებული იქნება სამაგიდე კვლევის მეთოდი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. შერჩეული იქნება თბილისის მაშტაბით ორი საჯარო სკოლა. პირველ საჯარო სკოლაში ელექტრონული სწავლების პროგრამის მიხედვით იქნება სწავლება, ხოლო მეორეში განსხვავებული პროგრამით. (არაელექტრონული). სადაც გამოყენებული იქნება ჩაღრმავებული ინტერვიუ.

კვლევის სტრუქტურა მოიცავს რეზიუმეს, სადაც გადმოცემული იქნება ნაშრომის მოკლე შინაარსი. შესავალ ნაწილს, კვლევაში გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვას. კვლევის მეთოდოლოგიას, ძირითად ნაწილს, სადაც იქნება საუბარი უშუალოდ ჩატარებულ კვლევაზე და მოხდება მისი ანალიზი. განხილული იქნება აგრეთვე უცხოური გამოცდილებაც. მასწავლებლების კომპეტენციასაც შევეხებით და ზოგადად სასწავლო პროგრამას. საბოლოოდ მოცემული იქნება დასკვნა და რეკომენდაციები.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი ნაწილის მიზანი არის საჯარო სკოლებში ჭადრაკის სწავლების ეფექტურობის დადგენა. რა პრობლემებს ვაწყდებით საქართველოში საჯარო სკოლებში ჭადრაკის სწავლებისას და პროვლემების გადაჭრის გზები დავსახოთ.

თვისობრივი კვლევა ჩატარდა:

- საჯარო სკოლებში მომუშავე 5 პედაგოგთან;
- 6 მშობლებთან, რომელთა შვილებიც საჯარო სკოლებში შეისწავლიდნენ ჭადრაკს;
- საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრთან;

2.1 საჯარო სკოლების ჭადრაკის პედაგოგთა ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი

1. როგორ თვლით ჭადრაკის გაკვეთილებისთვის კვირაში უნდა იყოს დათმობილი ერთი საათი თუ მეტი არის საჭირო?

მოცემულ კითხვასთან დაკავშირებით იყო აზრთა სხვადასხვაობა, ნაწილი მიიჩნევდა რომ 1 საათი არის საკმარისი იმისთვის, რომ გონების სავარჯიშოდ ისწავლოს ბავშვმა ჭადრაკი, მიიღოს ზოგადი განათლება ჭადრაკის შესახებ, დაინტერესდეს ჭადრაკით და სურვილისამებრ რომელიმე საჭადრაკო დაწესებულებაში გააგრძელოს სწავლა. თუმცა უმეტესობა მიიჩნევს, რომ სკოლებში ჭადრაკი მინიმუმ 2 საათი მაინც უნდა ისწავლებოდეს კვირაში, რადგან ისეთი რთული ინტელექტუალური თამაშის შესასწავლად როგორიც ჭადრაკია, ერთი საათი არ არის საკმარისი.

2. თქვენი აზრიით სკოლაში მიღებული საჭადრაკო ცოდნით, ბავშვი მოჭადრაკე უნდა გახდეს, თუ მხოლოდ გონების სავარჯიშოდ ისწავლოს?

ყველა პედაგოგმა დაასახელა, რომ სკოლაში ჭადრაკი მხოლოდ უნდა ისწავლებოდეს გონების სავარჯიშოდ. ისინი საუბრობდნენ, რომ სკოლაში მიღებული საჭადრაკო განათლებით შეუძლებელია ბავშვი მოჭადრაკედ ჩამოყალიბებულიყო, თუმცა გონების სავარჯიშოდ რომ ჭადრაკი მისწრებაა ერთხმად თანხმდებიან. თუ ბავშვი და მშობელი დაინტერესდებოდა საჭადრაკო კარიერის შესახებ, მაშინ საჭადრაკო კლუბებში უნდა ესწავლათ, სადაც უკვე შესაძლებელია ბავშვის მოჭადრაკეთ ჩამოყალიბება.

3. უნდა იყოს თუ არა ჭადრაკი სავალდებულო საგანი?

თითქმის ყველა პედაგოგმა აღნიშნა რომ ჭადრაკი არ უნდა ყოფილიყო სავალდებულო საგანი. თვლიდნენ რომ ჭადრაკი რთული საგანია და ბავშვის ინტერესის გარეშე შეუძლებელი იყო გარკვეულ დონეზე ჭადრაკის შესწავლა.

4. თქვენი აზრით არიან თუ არა საჯარო სკოლებში კომპეტენტური მასწავლებლები და რეგულირდება თუ არა სახელმწიფოსგან ჭადრაკის მასწავლებლის კომპეტენციის საკითხი?

პედაგოგთა უმრავლესობა ამბობს, რომ სახელმწიფოსგან არ რეგულირდება ჭადრაკის მასწავლელის საკითხი და აქედან გამომდინარე თვლიან რომ ბევრი არაკომპეტენტური მასწავლებელი მუშაობს საჯარო სკოლებში.

5. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თვლით თუ არა მისაღებად სპორტის გამოცდის ჩაბარებას ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებულს, თუ ჭადრაკის მასწავლებლის გამოცდა ცალკე უნდა ტარდებოდეს და არ იყო მიერთებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გამოცდასთან?

ერთხმად ყველა გამოკითხული ჭადრაკის პედაგოგი აღნიშნავდა, რომ ჭადრაკის მასწავლებლის გამოცდა ცალკე უნდა ტარდებოდეს ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ და ყოვლად დაუშვებელია მისი მიერთება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გამოცდასთან, რადგან ეს გამოცდა არანაირად არ აჩენს ჭადრაკის მასწავლებლის კომპეტენციას, მხოლოდ სპორტის მასწავლებლის კომპეტენციას.

6. რას იტყვით საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ჩატარებული სალიცენზიო გამოცდების შესახებ?

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ სალიცენზიო გამოცდებთან დაკავშირებით უმეტესობა აღნიშნავდა რომ ეს გამოცდები კარგად არის ორგანიზებული და იძლევა იმის საშუალებას რომ არაპროფესიონალიზმის პრობლემა გადაიჭრას.

7. გაქვთ თუ არა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ მონიჭებული სწავლების ლიცენზია?

აღმოჩნდა რომ რესპოდენტების უმეტესობას არ ჰქონდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ მინიჭებული ლიცენზია.

8.თვლით თუ არა რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ორგანიზებული სალიცენზიო გამოცდამ უნდა მოიცვას როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული საკითხები?

იმისდა მიუხედავად რომ უმეტესობა არ იყო ჩახედილი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ორგანიზებული სალიცენზიო გამოცდის საკითხების შესახებ, ყველა რესპოდენტმა აღნიშნა რომ გამოცდას უნდა მოეცვა როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული ნაწილი, რადგან თეორიის ცოდნა არ ნიშნავს კარგ

მასწავლებლად ყოფნას, მასწავლებელი აგრეთვე უნდა იცნობდეს სწავლების მეთოდებს, რათა იყოს სრულფასოვანი მასწავლებელი.

9. რას შეცვლიდით საქართველოში საჯარო სკოლებში ჭადრაკის სწავლებასთან დაკავშირებით?

ამ კითხვაზე გაცემულ პასუხებს პუნქტებად მოგახსენებთ:

1) მეტი კონტროლი მასწავლებლების კომპეტენციასთან დაკავშირებით, რათა კვალიფიციური პედაგოგებით დაკომპლექტდეს საჯარო სკოლები;

2) შემუშავდეს ერთიანი პროგრამა.

3) საჭადრაკო გაკვეთილები ტარდებოდეს წრეების ფორმატით.

10. სკოლაში რომელ სწავლების მეთოდს ემხრობით, სტანდარტულს თუ ელექტრონული სწავლების?

ამ კითხვასთან დაკავშირებით თიქთმის ყველა მასწავლებელმა განაცხადა რომ სწავლების სტანდარტული მეთოდისკენ უფრო იხრებიან, რომელიც გულისხმობს დაფასთან ურთიერთობას. ისინი საუბრობდნენ რომ დაფასთან ურთიერთობა ბევრად ადგება ბავშვს სხვადასხვა კომპეტენციების განვიტარებაში, ბავშვს აქვს გაცილებთ უკეთესი დაფის ხედვა და ტექნიკურადაც უფრო მარტივი შესასრულებელია, ვიდრე ელექტრონული სწავლების პროგრამით ჩატარებული გაკვეთილები.

11. რამეს ხომ არ დაამატებდით?

რესპოდენტი #1 „ვისურვებდი მეტ ნოვატორულ მეთოდებს ჭადრაკის სწავლებასთან დაკავშირებით, რათა მოსწავლეებისთვის უფრო საინტერსო და შთამბეჭდავი საგანი გახდეს.“

რესპოდენტი #2- „არ არსებობს მოწესრიგებული სისტემა და სასწავლო პროგრამა.“

რესპოდენტი #3- „დავამატებდი იმას,რომ კარგი იქნებოდა თუ საჯარო სკოლები საწრეოფორმატზე გადავიდოდა, რადგან ჭადრაკი სპორტის ისეთი სახეობაა არ არის გათვლილი კლასში 30 მოსწავლეზე. მასწავლებელიც უაზროდ იღლება, როცა ხედავს, რომ ჭადრაკის გაკვეთილი როგორც სავალდებულო საგანი, ისე

უნდა ჩაატაროს, ეს მაშინ როცა პირობითად 30 ბავშვიდან 2-ს შეიძლება აინტერესებდეს . უნდა გინდოდეს ჭადრაკის სწავლა , ძალადობა ყველაზე მეტად სპორტის ამ სახეობისთვის არის მიუღებელი, რადგან ჭადრაკის თამაშმა ბავშვს სიამოვნება უნდა მიანიჭოს და სიხარული მოჰგვაროს.“

რესპოდენტი #4 „ გავაკეტებდი ჭადრაკს როგორც არჩევით საგანს.“

რამდენიმე რესპოდენტმა ამ კითხვას პასუხი არ გასცა.

ამრიგად პედაგოგების ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგად ნათლად ჩანს, რომ ისინი ემხრობიან სკოლებში ჭადრაკის სწავლებას, თუმცა მთელ რიგ პრობლემებზე საუბრობენ, რომელიც ეხება საჭადრაკო პროგრამას, მასწავლებელთა კომპეტენციას და კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდას.

2.2 საჯარო სკოლების ჭადრაკის შემსწავლელ მოსწავლეთა მშობლების ინტერვიუს ანალიზი

1. დადებითად მიიჩნევთ სკოლაში ჭადრაკის სწავლებას თუ უარყოფითად?(დაასაბუთეთ თქვენი პასუხი)

ყველა რესპოდენტი აფასებდა სკოლებში ჭადრაკის სწავლებას დადებითად, მიზეზი კი იყო რამდენიმე: პირველი ის რომ ბავშვმა რაც უფრო მეტი იცის და ფართო ცოდნა აქვს მით უკეთესი, ასევე ისინი საუბრობდნენ რომ ჭადრაკის სწავლა კარგია ბავშვისთვის გონების გასავითარებლად.

2. როგორ თვლით ჭადრაკის გაკვეთილებისთვის კვირაში უნდა იყოს დათმობილი ერთი საათი თუ მეტი არის საჭირო?

აღსანიშნავია რომ თითქმის ყველა მშობელი თვლის რომ ჭადრაკი უნდა ტარდებოდეს კვირაში ერთ საათზე მეტი, რადგან ერთი საათი არ არის საკმარისი ჭადრაკის დასაუფლებლად.

3. თვლით თუ არა რომ ჭადრაკის სწავლა თქვენს შვილს ეხმარება სხვა საგნების მარტივად ათვისებაში?

ამ შემთხვევაშიც თითქმის ყველა მშობელი თვლის, რომ ჭადრაკი მათ შვილებს ეხმარება სხვა საგნების მარტივად ათვისებაში, რადგან ჭადრაკი ანვითარებს გონებას.

4. სკოლაში მიღებული საჭადრაკო განათლებით გსურთ რომ თქვენი შვილი მოჭადრაკე გახდეს, თუ მხოლოდ გონების სავარჯიშოდ შეისწავლოს ჭადრაკი?

მშობლების უმეტესობამ გასცა ზუსტად ასეთი პასუხი: გონების სავარჯიშოდ ძალიან კარგია ჭადრაკი, თუმცა მსურს რომ სკოლაში სწავლების შედეგად ჩემი შვილი მოჭადრაკეც გამოვიდეს.

5. რომელი წიგნით გადიან ბავშვები ჭადრაკის კურსს?

უმრავლესობის პასუხი იყო გიორგი მაჭარაშვილის და დავით გურგენიძის ჭადრაკის გაკვეთილებით, თუმცა აღსანიშნავია რომ ნაწილმა აღნიშნა რომ ისინი საერთოდ არ სწავლობდნენ ჭადრაკს წიგნის მეშვეობით.

6.. უნდა იყოს თუ არა ჭადრაკი სავალდებულო საგანი? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

მშობელთა უმეტესობა თვლის, რომ ჭადრაკი უნდა იყოს სავალდებულო საგანი დაწყებით კლასებში, რადგან ჭადრაკი ბავშვებს ასწავლის დისციპლინას, შრომისმოყვარეობას დროის სწორად გადანაწილებას. ისინი თვლიან, რომ ჭადრაკი გონებრივი განვითარების საწინდარია და წრეების სახით სწავლების შემთხვევაში, ყველა ბავშვი ვერ მოახერხებს ჭადრაკის შესწავლას სკოლაში.

7. სკოლაში თქვენთვის რომელი უფრო მისაღები და კომფორტულია, ბავშვმა შეისწავლოს ჭადრაკი გაკვეთილების სახით, თუ წრეების სახით?

ამ კითხვასთან დაკავშირებით უმრავლესობის პასუხი იყო, რომ უმჯობესი იქნებოდა ბავშვებს ჭადრაკი შეესწავლათ გაკვეთილების სახით, რადგან წრეებზე ტარება დამატებით ხარჯთან იყო დაკავშირებული და დამატებით დროსთან. ისინი საუბრობდნენ რომ არ აქვთ ამდენი საშუალება არც ფინანსური და არც დროის სახით.

8. თქვენი აზრით უნდა რეგულირდებოდეს თუ არა სახელმწიფოს მიერ ჭადრაკის მასწავლებლის კომპეტენციის საკითხი?

ყველა რესპოდენტი ამ კითხვაზე პასუხობდა, რომ აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ჭადრაკის მასწავლებლის კომპეტენციის საკითხის რეგულირება, რომ მაქსიმალურად კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებულიყო საჯარო სკოლები.

9. 10 ქულიანი შკალაზე, რამდენი ქულით შეაფასებთ ჭადრაკის სწავლების ეფექტურობას საქართველოს სკოლებში?

საერთო ჯამში რესპოდენტებმა შეაფასეს ჭადრაკის სწავლების ეფექტურობა საქართველოს საჯარო სკოლებში. მათი შეფასების საშუალო ქულა გამოვიდა 7.8 , რაც საშუალო მაჩვენებელზე გაცილებით მაღალია.

ამრიგად მშობლები მიესალმებიან ჭადრაკის სწავლებას სკოლებში და თვლიან რომ ჭადრაკი მათ ბავშვებს ეხმარება სხვა საგნების მარტივად ათვისებაში.

2.3 საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრის ჩაღრმავებული ინტერვიუს ანალიზი

1. როგორ თვლით ჭადრაკის გაკვეთილებისთვის კვირაში უნდა იყოს დათმობილი ერთი საათი თუ მეტი არის საჭირო?

პასუხში იყო საუბარი ჭადრაკის სწავლების ფორმატზე, რომ ჭადრაკი სკოლებში ისწავლება მხოლოს გონების განვითარების მიზნით და არა პროფესიულ დონეზე. მთავარი არის სკოლებში ჭადრაკის პოპულარიზაცია, რომ შეიყვარონ ბავშვებმა ჭადრაკი და მომავალში დაინტერესების შემთხვევაში მიმართონ საჭადრაკო კლუბებს და აკადემიებს. რომც არ გააგრძლონ ჭადრაკის შესწავლა პროფესიულ დონეზე, რესპოდენტი თვლის რომ სკოლაში მიღებული საჭადრაკო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ბავშვს მომავალში ჭადრაკი დაეხმარება სხვა საგნების მარტივად ათვისებაში.

2. უნდა იყოს თუ არა ჭადრაკი სავალდებულო საგანი? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენელი თვლის რომ ჭადრაკი უნდა იყოს სავალდებულო საგანი, სადგან მაქსიმალურად უნდა იქნებს გამოყენებული ჭადრაკის პოტენციალი ზოგად განათლებაში, რომელიც ძალიან ბევრმა კვლევამ დაადგინა.

3. თქვენი აზრით არიან თუ არა საჯარო სკოლებში კომპეტენტური მასწავლებლები და რეგულირდება თუ არა სახელმწიფოსგან ჭადრაკის მასწავლებლის კომპეტენციის საკითხი?

რესპოდენტი საუბრობდა რომ ამ საკითხზე ძალიან ხშირად ხდებოდა საუბარი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში. რესპოდენტი თვლის რომ განათლების სამინისტროს მიერ უნდა ხდებოდეს ჭადრაკის მასწავლებლის კომპეტენციის დაყენება და კონტროლი. სკოლებში უფრო კომპეტენტური კადრების აყვანის მიზნით საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ განათლების სამინისტროში არაერთხელ გააგზავნა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ლიცენზირებული მასწავლებელთა სია, თუმცა საჯარო სკოლებში არსებულ ვაკანსიებს კვლავ იკავებენ ლიცენზიის არმქონე პირები, რადგან საჯარო სკოლებისთვის ლიცენზირებული მასწავლებელი არ არის პრიორიტეტული და ისინი სხვა კომპეტენციებს ითხოვენ მასწავლებლობის მაძიებლისათვის თუ უკვე მოქმედი მასწავლებლებისათვის.

4. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თვლით თუ არა მისაღებად სპორტის გამოცდის ჩაბარებას ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებულს, თუ ჭადრაკის მასწავლებლის გამოცდა ცალკე უნდა ტარდებოდეს და არ იყო მიერთებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გამოცდასთან?

რესპოდენტი თვლის რომ ჭადრაკის გამოცდა რათქმაუნდა ცალკე უნდა ტარდებოდეს და იგი იძახის რომ არასამართლიანია ჭადრაკის პედაგოგისთვის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გამოცდის ჩაბარება, რადგან ეს ორი საგანი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. სწორედ ამ მიზნით ტარდება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში მასწავლებლის ლიცენზიის გამოცდა,

რომელიც ჭადრაკის მასწავლებლის სფეროს ეხება პირდაპირ და არა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის.

5. რას იტყვით საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ჩატარებული სალიცენზიო გამოცდების შესახებ?

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის სალიცენზიო გამოცდა საკმაოდ დახუნძლულია თეორიული მასალით და არაკომპეტენპური პირი ვერ ჩააბარებს ვერანაირად ამ გამოცდას, შესაბამისად ეს გამოცდა გვეხმარება არაპროფესიონალიზმთან ბრძოლაში, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ამ გამოცდასაც გააჩნია თავისი მინუსები. საკიხებში მოცემულია პრაქტიკული ნაწილი, რომელიც ასევე საჭადრაკო ცოდნას და ხედვას ეხება, თუმცა სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით არანაირი დავალება საკითხებში არ არის. შესაბამისაც გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, ვიგებთ რომ აპლიკანტს გააჩნა სიღრმისეული საჭადრაკო ცოდნა, თუმცა როგორც პედაგოგი არ ვიცით მისი უნარჩვევების შესახებ არაფერი. რესპოდენტი თვლის, რომ უპრიანი იქნება ამ გამოცდას პრაქტიკული ნაწილიც თუ დაემატება.

6. თვლით თუ არა რომ მნიშვნელოვანია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანამშრომლობა საჯარო სკოლებში ჭადრაკის სწავლების უკეთესად ორგანიზებისათვის?

რესპოდენტი თვლის რომ არათუ მნიშვნელოვანი, აუცილებელიც არის ამ ორ უწყებას შორის თანამშრომლობა საუკეთესო შედეგის მისაღებად.

7. რას იტყვით საჯარო სკოლებში სწავლების პროგრამის შესახებ?

სამწუხაროდ პროგრამა რომელიც საჯარო სკოლებშია არ შეესაბამება სკოლის დონეზე ჭადრაკის სწავლების პროგრამას. იგი ზედმეტად რთულია და საჭადრაკო კლუბებისათვის, თუ აკადემიებისთვის არის განკუთვნილი. სკოლებში საჭიროა შეიქმნას გამარტივებული საწადრაკო პროგრამა, რომლის შედეგიც არ იქნება

მოსწავლის პროფესიონალად ჩამოყალიბების მცდელობა, არამედ იგი ჭადრაკს შეისწავლის გონების განვითარების მიზნით.

8. რას იტყვით ელექტრონული სწავლების პროგრამაზე?

ელექტრონული სწავლების პროგრამა ძალიან სახალისოა და საინტერესო, თუმცა აქაც იგივე პრობლემას ვაწყდებით ეს პროგრამა არის დასაძლევად საკმაოდ რთული პროგრამა, რაც სკოლას არ შეესაბამება. სკოლაში უნდა არსებობდეს ისეთი პროგრამა რომელსაც ყველა მეტნაკლებად დაძლევს.

9. რას იტყვით სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით?

ზოგადად სახემძღვანელოების პრობლემა საქართველოში არის არა მხოლოდ სკოლის დონეზე, ასევე პროფესიული სწავლების დონეზეც, რადგან ქართულად ძალიან ცოტა წიგნი არის დაწერილი თუ ნათარგმნი. საქართველოში პროფესიონალი მოჭადრაკეები ზოგადად სწავლებას გადიან უცხოურ ენაზე არსებული წიგნებით, ესენია ძლირითადად რუსულ და ინგლისურ ენაზე დაწერილი წიგნები. რესპოდენტი ფიქრობს, რომ სკოლებისთვის უნდა შეიქმნას გამარტივებული სწავლების პროგრამა, რომელსაც მეტნაკლებად ყველა მოსწავლე დაძლევს და ეს პროგრამა და სახელმძღვანელოები დაეხმარება ბავშვებს ჭადრაკის შესწავლაში, გონების განვიტარების მიზნით.

ამრიგად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენელი საუბრობს იმ დადებით და უარყოფით მხარეებზე, რაც საჯარო სკოლებში ჭადრაკის სწავლებას ეხება. საუბრობს რომ მოსაწესრიგებელია საჭადრაკო პროგრამა, მასწავლებელების კომპეტენციის საკითხი და სახელმძღვანელოები.

თავი 3.ჭადრაკის მასწავლებელთა კომპეტენტურობა

მოგეხსენებათ ყველა იმ საგანში, რომელიც ისწავლება სკოლაში ტარდება გამოცდები ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ, რადგან სკოლა დაკომპლექტდეს კვალიფიციური კადრებით. მასწავლებლობის მაძიებელი ვალდებულია ჩააბაროს მასწავლებელთა კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდა, რომელიც მას დაეხმარება საჯარო სკოლაში მუშაობის დაწყებაში. ჭადრაკი რადგან პროგრამულად მიეკუთვნება სპორტს, ჭადრაკის მასწავლებლობის მაძიებელი ვალდებულია ჩააბაროს გამოცდა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში. მინდა ავღნიშნო რომ მოცემული გამოცდა ძალიან შორს დგას ჭადრაკთან. შედარება რომ გავაკეთოთ ამისთვის მოგიყვანთ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროგრამას:

- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორია;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფუნქციები;
- ფიზიკური ვარჯიში; ფიზიკური აქტივობა;
- გუნდური/ინდივიდუალური სწავლება;
- მულტიდიცსიპლინარული სპორტული სწავლების მეთოდები;
- სპორტული ტერმინოლოგია;
- კვება;
- ჰიგიენა;
- მავნე ჩვევები;
- უსაფრთხოება და ტრავმატიზმის პრევენცია;
- ფიზიკური აღზრდის და სპორტის სწავლების ეტაპები;
- ფიზიკური აღზრდის და სპორტის სწავლების მეთოდები;
- დატვირთვა; მოძრაობისა და მოტორული უნარების განვითარების ხელშეწყობა, 14) სწავლების მეთოდები;
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
- ქტიური მონაწილეობა;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილი;

- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილის სტრუქტურა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) ბავშვების ფიზიკური აღზრდა და სპორტი;
- სსს მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის წარმართვის თვისებურებები.;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია.

ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი პროგრამაა სპორტის მასწავლებელთათვის, თუმცა საინტერესოა როგორ არის ეს ყველაფერი ჭადრაკთან კავშირში. ჭადრაკი მოგეხსენებათ სპორტის სახეობაა, თუმცა ყველაზე ნაკლები ფიზიკური დატვირთვა სხვა სპორტის სახეობებისგან განსხვავებით მოდის ჭადრაკში. შესაბამისად როდესაც ფიზიკურ აღზრდაზეა საუბარი, უკვე ძალიან დიდი აცდენა არის დასახელებაშიც. ზოგადად ეს ის საკითხებია რომელშიც სპორტსმენები უნდა ერკვეოდნენ, თუმცა რამდენიმე პუნქტი მოცემული საგამოცდო პროგრამიდან საერთოდ არ არის ჭადრაკთან კავშირში, მაგალითად „10) უსაფრთხოება და ტრავმატიზმის პრევენცია“. რა კავშირში არის ეს ყველაფერი სპორტის იმ სახეობასთან, რომელსაც ჭადრაკი წარმოადგენს. შეუძლებელია ჭადრაკის თამაშის დროს ტრავმა მიიღოს მოსწავლემ. აგრეთვე სპორტული აქტივობების დაგეგმვა. ჭადრაკის მასწავლებელს ევალება გამოცდა ჩავაბაროს სპორტული აქტივობების დაგეგმვაში. საგაკვეთილო პროცესის წარმათვაში როგორც სპორტის მასწავლებელს, როდესაც საგაკვეთილო პროცესი სპორტის და ჭადრაკის ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება. მთავარი პრობლემა ამ გამოცდასთან დაკავშირებით არის ის რომ, არანაირი თეორიული საკითხები ჭადრაკიდან არ არის გამოცდაში, შესაბამისად გამოცდა ვერანაირად ვერ განსაზღვრავს თუ რა საჭადრაკო ცოდნა აქვს აპლიქანტს. აგრეთვე ჩემი პირადი აზრით უსამართლოც კი არის, რომ ჭადრაკის მასწავლებელს უწევს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გამოცდის ჩაბარება. იმისავის რომ ჭადრაკის მასწავლებელმა მუშაობა დაიწყოს, უწევს სრულიად სხვა მასალის დაზუთხვა და ფიქრი მისი საგაკვეთილო პროცესის შესახებ, იმისათვის რომ გადალახოს კომპეტენციის ზღვარი და დაიწყოს მუშაობა.

ამრიგად, გამოცდის პროგრამიდან გამომდინარე სკოლაში ჭადრაკის მასწავლებლად მუშაობას იწყებს პიროვნება, რომელსაც საფუძვლიანი ცოდნა აქვს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, თუმცა არანაირი წარმოდგენა არ გაგვაჩნია მისი საჭადრაკო განათლების შესახებ. უხეშად რომ შევადაროთ ეს იგივეა, რომ ისტორიის მასწავლებელს მათემატიკის გამოცდის ჩაბარება მოსთხოვონ მუშაობის დაწყების მიზნით.

მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლების მიზნით საქართველოს ჭადრაკიის ფედერაციამ 2015 წელს განაახლა და გაართულა მასწავლებელთათვის სალიცენზიო გამოცდა ყველაზე დაბალ „ც“ კატეგორიისთვის და ამავდროულად შექმნა ვებ პორტალი i64.ge, სადაც ჭადრაკის მასწავლებლის ლიცენზიის მქონე პირთა მონაცემებია განთავსებული. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ლოზუნგია „იყავი კომპეტენტური“ . აღსანიშნავია ის რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ პირადად მიაწოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენტურ მასწავლებელთა სიები, თუმცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ უგუნვებელყოფილი იქნა ეს შეთავაზება და მხოლოდ საგამოცდო ცენტრის მიერ ჩატარებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გამოცდას ეყრდნობა საჯარო სკოლებში კადრების არჩევისას. საქართველოს ჭადრაკის ფედერააცის მიერ შედგენილი პროგრამის გაანალიზების შედეგად, აღმოვაჩინე ამ პროგრამის სუსტი მხარე. საგამოცდო პროგრამა გვაძლევს წარმოდგენას აპლიკანტის საჭადრაკო ცოდნის შესახებ, თუმცა მოგეხსენებათ მხოლოს საგნის კარგად ცოდნა არ არის საკმარისი იმისათვის რომ მასწავლებელი იყოს კვალიფიციური. ამ გამოცდას აკლია პრაქტიკული დავალებები, რაც ეხება საგაკვეთილო პროცესის მართვას, სწავლების მეთოდებს და ა.შ. ეს ნაკლოვანება კარგად ჩანს საგამოცდო საკითხებისა და პროგრამის გაანალიზების შედეგად:

- მსოფლიო ჩემპიონები ჭადრაკში;
- მსოფლიო ჩემპიონატები და ოლიმპიადები;
- ქართული ჭადრაკის ისტორია;
- ქართველი მოჭადრაკეების მირწევები საბჭოთა კავშირის დროს;

- ქართველი მოჭადრაკეების მიღწევები დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში;
- ჭადრაკის თამაშის წესები;
- სადებიუტო პრინციპები
- ღია დებიუტები
- ნახევრადღია დებიუტები
- დახურული დებიუტები
- მიტელშპილი
- დაბმა
- ორმაგი დარტყმა
- გახსნილი ქიში
- ორმაგი ქიში
- გახსნილი მუქარა
- გადაკეტვა
- დახშული შამათი
- ენდშპილის ძირითადი პრინციპები
- გამსვლელი პაიკი
- შორეული გამსვლელი პაიკი
- გადაბმული გამსვლელი პაიკი
- დაცული გამსვლელი პაიკი
- ეტიუდები
- თეორიული პოზიციები
- ცნობილი ეტიუდები

აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან დრემდე, მხოლოდ აპლიკანტთა 50%-მა მოახერხა მინიმალური კომპეტენციის ძღვარის გადალახვა და „ც“ კატეგორიის მასწავლებლის ლიცენზიის მოპოვება. (ფედერაცია, თ. გ.)

ამრიგად, ჭადრაკის მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურების ორი გამოცდა არსებობს, ერთი რომელსაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გვთავაზობს და მეორე რომელსაც

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ატარებს. ორივე გამოცდას გააჩნია თავისი მინუსები და დასახვეწია, თუმცა ჩემი აზრით ცუდია რომ ეს ორი გამოცდა ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, რადგან გარკვეულწილად მოახერხებდნენ ერთმანეთის შევსებას.

თავი 4. პროგრამა ჭადრაკში და სახელმძღვანელოები

მოგეხსენებათ ჭადრაკში არ არის ცალკეული პროგრამა და იგი მთლიანად მიბმულია სპორტის პროგრამასთან. ასევე არ არის სტანდარტი ჭადრაკის სწავლებასთან დაკავშირებით. გვაქვს მხოლოდ სპორტის სტანდარტი. გვაქვს მხოლოდ 3 გრიფირებული წიგნი დონეების მიხედვით. ესენია მოსწავლის წიგნები:

1) ჭადრაკი, პირველი დონე, გიორგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე. საქართველოს მაცნე, 2012 წ. მოსწავლის წიგნი.

2) ჭადრაკი, მეორე დონე, გიორგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე. საქართველოს მაცნე, 2012 წ. მოსწავლის წიგნი.

3) ჭადრაკი, მესამე დონე, გიორგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე. საქართველოს მაცნე, 2012 წ. მოსწავლის წიგნი.

და მასწავლებლის წიგნები:

1) ჭადრაკი, პირველი დონე, გიორგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე. საქართველოს მაცნე, 2012 წ. მასწავლებლის წიგნი.

2) ჭადრაკი, მეორე დონე, გიორგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე. საქართველოს მაცნე, 2012 წ. მასწავლებლის წიგნი.

3) ჭადრაკი, მესამე დონე, გიორგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე. საქართველოს მაცნე, 2012 წ. მასწავლებლის წიგნი.

სწორედ ეს წიგნები არის წლების მანძილზე ერთადერთი გრიფირებული წიგნები ჭადრაკში. გოგი მაჭარაშვილის და დავით გურგენიძის მოცემული წიგნები, რომელიც 3 დონისგან შედგება და თითო დონე თითო სასწავლო წელს მიეკუთვნება არის ამ ეტაპზე ქართულ ენაზე არსებული ერთ-ერთი საუკეთესო წიგნები, თუმცა საინტერესოა სკოლისთვის არის ეს წიგნები საუკეთესო, თუ ზოგადად ბავშვისთვის, რომელიც სერიოზულად ეკიდება ჭადრაკს და დადის ჭადრაკზე. ბავშვი რომელიც ინტენსიურად სწავლობს ჭადრაკს საჭადრაკო კლებუბეში, წრეებზე სადაც გაძლიერებული სწავლებაა და ა.შ. ეს წიგნები არის

იდეალური მისთვის, თუმცა რამდენად მიზანშეწონილია ამ წიგნებით სწავლა სკოლებში? მასალა, რომელიც ამ წიგნებში არის მოცემული არის ძალიან დიდი და სკოლაში შეუძლებელია ბავშვმა ეს მასალა დაძლიოს, თუნდაც 12 წელი რომ ისწავლოს ჭადრაკი, რადგან კვირაში ერთი დღე და ისიც 45 წუთიანი გაკვეთილი არის ძალიან მწირი ამისთვის. მაგალითისთვის მოვიყვან ორ ქვეყანას, სადაც არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო საჭადრაკო სკოლა და შევადაროთ ამ ორი ქვეყნის მაგალითი საქართველოში არსებულ საჭადრაკო პროგრამას და სახელმძღვანელოებს. ავიღოთ ჯერ რუსეთი. რუსეთის საჭადრაკო სკოლა წლების მანძილზე იყო და დღემდე ინარჩუნებს წამყვან პოზიციას საჭადრაკო სამყაროში, როგორც თეორიული მასალის დამუშავებასა და სწავლის მეთოდიკასთან დაკავშირებით. რუსეთის სკოლებში 2018 წლიდან ჭადრაკი გახდა სავალდებულო საგანი, რომელსაც კვირაში ერთი საათი ეთმობა. პირველი 4 კლასი არის სავალდებულო, ხოლო მეხუთე კლასიდან არჩევითი საგანი. რაც შეეხება პროგრამას და სახელმძღვანელოებს. პროგრამა ნაწილდება 4 წელიწადზე. 4-ივე სასწავლო წელს გააჩნია თავისი წიგნი და მოსწავლის რვეული. ეს წიგნები გახლავთ:

1) Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, шахматы в школе, 1 год обучения, Москва, 2017;

Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, шахматы в школе, 1 год обучения. рабочая тетрадь, Москва, 2017;

2) Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, шахматы в школе, 2 год обучения. Москва, 2017;

Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, шахматы в школе, 2 год обучения. рабочая тетрадь, Москва, 2017;

3) Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, шахматы в школе, 3 год обучения, Москва, 2017;

Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, шахматы в школе, 3 год обучения. рабочая тетрадь, Москва, 2017;

4) Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, шахматы в школе, 4 год обучения, Москва, 2017;

Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, шахматы в школе, 4 год обучения. рабочая тетрадь, Москва, 2017;

გავაანალიზე მოცემული წიგნები და გავაკეთე პროგრამული შედარება, რის მიხედვითაც გოგი მაჭარაშვილის და დავით გურგენიძის პირველი დონის სახელმძღვანელო თითქმის პროგრამულად უტოლდება რუსეთში არსებული 4 წლის მასალას მთლიანად აღებულს. როგორც უკვე თავიდან ავღნიშნე ეს წიგნები ძალიან კარგია ბავშვებისთვის, რომლებიც ინტენსიურად გადიან ჭადრაკს, ბავშვებისთვის რომელთაც სურთ რომ გამოვიდნენ მოჭადრაკეები, თუმცა სკოლისთვის ეს პროგრამა არის ძალიან დატვირთული, რთული და დროში შესასრულებლად თითქმის წარმოუდგენელი. თუ საუბარია იმაზე რომ ჭადრაკი არის გონებისთვის კარგი და ბავშვს მართლა ეხმარება ძალიან ბევრ ასპექტში და ეს კვლევებმაც აჩვენა, მაშინ საჭიროა ისეთი პროგრამის შექმნა სკოლებისთვის, რომ ბავშვებთან ვიმუშაოვოთ არა იმისთვის რომ მოჭადრაკეები გახდნენ, რაც შეუძლებელია 45 წუთიანი გაკვეთილების შედეგად, არამედ იმისთვის რომ ჭადრაკის გაკვეთილები მათთვის იყოს გონების სავარჯიშო, დავაინტერესოთ ბავშვები ჭადრაკით. შემდგომში სურვილის არსებობის შემთხვევაში, ბავშვებს მშობლები ინტენსიურად ჭადრაკის სასწავლად მიიყვანენ შესაბამის დაწესებულებებში, როგორებიცაა: საჭადრაკო კლუბები, აკადემიები და საჭადრაკო წრეები.

მეორე მაგალითი იქნება ინგლისი, კერძოდ ლონდონი. ლონდონის თითქმის ყველა საჯარო სკოლაში ისწავლება ჭადრაკი გაკვეთილების სახით. მათი საჭადრაკო პროგრამა გათვლილია მხოლოდ ჭადრაკის ფიგურების შესწავლაზე, საჭადრაკო წესებზე, და პატარ-პატარა სრატეგიებზე. პროგრამა რომელსაც ბავშვები გადიან არის ყველა ბავშვისთვის დასაძლევი დონე, რაც ბავშვებს არ უკარგავს მოტივაციას და ხალისით ითვისებენ მასალას. ლონდონის სკოლებში ჭადრაკი არ ტარდება მხოლოდ გაკვეთილების სახით. არსებობს აგრეთვე

საჭადრაკო წრეები, რომელიც აღსანიშნავია რომ არის უფასო რათა ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს.

ლონდონის სკოლებში სასწავლო პროგრამის შესახებ ნათლად წერია, რომ გაკვეთილების სახით პროგრამა არის მაქსიმალურად გამარტივებული, რადგან აქვს გონების ვარჯიშის ფუნქცია, ხოლო საჭადრაკო კლუბები, რომელიც არსებობს სკოლებში და სრულიად უფასოა, იქ სწავლას ბავშვები აგრძელებენ გაძლიერებულად. (htt3)

ამრიგად რუსეთის და ლონდონის მაგალითზე, საქართველოში არსებული პროგრამა სკოლის დონეზე ძალიან დაუხვეწავია და მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას, როგორც ეს ჩემ მიერ მოყვანილ მაგალითებში ხდება.

დასკვნა

თანამედროვე სამყაროში ჭადრაკი სულ უფრო და უფრო პოპულარული საგანი ხდება სკოლებში. აღარ არსებობს პასუხგაუცემელი კითხვა იმის შესახებ, რომ ჭადრაკი ბავშვებს ეხმარება გონების განვითარებაში. ეს არაერთმა კვლევამ დაადასტურა მსოფლიოს მაშტაბით და ამ კვლევებზე მეტნაკლებად იყო საუბარი ნაშრომში.

დღევანდელი მდგომარეობით საკმაოდ ბევრ ქვეყანაში ისწავლება სკოლებში ჭადრაკი, რაც იმაზე მიუთითებს რომ ჭადრაკი არის ძალიან მნიშვნელოვანი დამხმარე დისციპლინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. მეტიც რამდენიმე წამყვან ქვეყანაში ჭადრაკი სკოლებში ისწავლება როგორც სავალდებულო საგანი დაწყებით კლასებში.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოჩნდა გარკვეული პრობლემები საქართველოში ჭადრაკის სწავლებასთან დაკავშირებით. ეს საკითხი შეიძლება იმითაც იყოს განპირობებული რომ ქართულ რეალობაში ჭადრაკს სკოლებში არ აღიქვამენ სერიოზულად და გარკვეულწილად მიშვებულია თავის კალაპოტზე სწავლება, არადა როგორც თერთმეტ გზის მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი იტყოდა „ჭადრაკი არის არა სპორტის სახეობა, არამედ განათლების სისტემის გაუმჯობესების ახალი და იაფი საშუალება, იგი მოზარდებში ინტელექტუალური აზროვნებისა და ლოგიკის განვითარებას ემსახურება.“ (edu.aris.ge, თ. გ.) საზღვარგარეთ არა მხოლოდ მოხდა სკოლებში ჭადრაკის აქტიურად დანერგვა, არამედ ყოველწლიურად ცდილობენ საჭადრაკო პროგრამის დახვეწას მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციასთან თამამშრომლობის შედეგად.

ამრიგად საქართველოში საჯარო სკოლებში ჭადრაკის სწავლებასთან დაკავშირებით ვაწყდებით რამდენიმე პრობლემას. პირველი ეს არის საჭადრაკო პროგრამა. არ არის ერთიანი პროგრამა, საიდანაც სკოლები და მასწავლებლები იხელმძღვანელებდნენ. მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა რომელიც დღის წესრიგში დგას, ეს არის მასწავლებლების კომპეტენცია. საჯარო სკოლაში ჭადრაკის მასწავლებლად მუშაობას იწყებენ მხოლოდ ის მასწავლებლები,

რომლებმაც ჩააბარეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გამოცდა. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გამოცდა რათქმაუნდა საკმაოდ დახვეწილია და გვაძლევს ცოდნას იმის შესახებ თუ რამდენად კომპეტენტურია აპლიკანტი ამ გამოცდის ჩაბარების შედეგად, თუმცა როგორც სპორტის მასწავლებელი. ჭადრაკის შესახებ არანაირი თეორიული და პრაქტიკული საკითხი არ არსებობს. შესაბამისად ეს გამოცდა ვერ ადგენს ჭადრაკის მასწავლებლის კომპეტენციას. მოცემული გამოცდის გარდა ტარდება ასევე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებული სალიცენზიო გამოცდა, რომელიც დამოუკიდებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ორგანიზებული მასწავლებელთა სალიცენზიო გამოცდა შედგება ჭადრაკის თეორიული ნაწილიდან და ამ გამოცდას არაკომპეტენტური პირი ვერ ჩააბარებს და თითქოს ამ ბრობლემად მთლიანად ხსნის, მაგრამ გამოცდაში არ არის შეტანილი პრაქტიკული ნაწილი, რომელშიც ჩანს თუ რამდენად იცნობს მასწავლებელი სწავლების მეთოდებს და როგორ წარმართავს იგი საგაკვეთილო პროცესს.

ამრიგად, გავქვს ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი ორი გამოცდა, პირველი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გამოცდა, რომელსაც ატარებს გამოცდების ეროვნული ცენტრი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეგიდით და მეორე მასწავლებელთა სალიცენზიო გამოცდა, რომელსაც ატარებს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია. ორივე გამოცდას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. პირველის არის ის რომ ჭადრაკს საერთოდ არ ეხება საკითხები არც თეორიული და არც პრაქტიკული ნაწილი, და მეორე გამოცდა, სადაც მხოლოდ თეორიაა და ვერ ვადგენთ მასწავლებლის პრაქტიკულ უნარჩვევებს. აქ შეიძლებოდა ვინმეს ეთქვა, რომ ეს ორი გამოცდა ერთმანეთს შეავსებდნენ, თუმცა ამის თქმაც არ შემიძლია, რადგან ეს ორი გამოცდა ერთად აღებულიც კი არ არის ის გამოცდა, რომელიც იქნებოდა მეტნაკლებად განმსაზღვრელი ჭადრაკის მასწავლებლის კომპეტენციის.

აგრეთვე გამოჩნდა პრობლემა სკოლებში საჭადრაკო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. ეს სახელმძღვანელოები არ არის მორგებული სკოლაში ჭადრაკის

სწავლებაზე და პროგრამა არის შედარებით რთული ვიდრე უნდა იყოს. მოგეხსენებათ სკოლებში ნებისმიერ საგანში სახელმძღვანელო და შესაბამისად სასწავლო პროგრამა უნდა იყო ისეთი, რომ მეტნაკლებად ყველა მოსწავლემ მოახერხოს ამ პროგრამის დაძლევა. ჭადრაკში გრიფირებული სახელმძღვანელოები არის გაძლიერებული სწავლებისთვის მიღებული წიგნები, რომლებითაც საქართველოში აქტიურად ისწავლება ჭადრაკის კლუბებში, აკადემიებში, თავად ჭადრაკის სასხლეშიც და ა.შ.

ზოგადი ცოდნა სკოლებში ჭადრაკის სწავლების შესახებ. რამდენიმე მშობელმა ინტერვიუს დროს ახსენა რომ მათ სურდათ სკოლაში ისეთი განათლება მიეღოთ მათ ბავშვებს გაკვეთილების სახით, რის შედეგადაც მოჭადრაკეთ ჩამოყალიბდებოდა ბავშვი. მრავალი კვლევის შედეგად და კომპეტენტური პირების ანალიზის შედეგად, საქართველოშიც და მთელ მსოფლიოშიც ნათელია, რომ სკოლებში შეუძლებელია ჭადრაკის სწავლა პროფესიულ დონეზე და არც არის აუცილებელი. სკოლებში უნდა ხდებოდეს ზოგადი საჭადრაკო განათლების მიღება და გონების განვითარების მიზნით ისწავლებოდეს ჭადრაკი. ჩემ მიერ დასმულ კითხვაზე მიღებული პასუხების შედეგად, ნათელია რომ მშობლებს არც იმის ცნობა არ გააჩნიათ რომ სკოლაში ჭადრაკის სწავლებით ბავშვი მოჭადრაკე ვერ გახდება და ამისთვის მშობელმა სპეციალიზირებულ დაწესებულებას უნდა მიმართოს, რომლებიცაა საჭადრაკო კლუბები, საჭადრაკო აკადემიები, სხვადასხვა წრეები და ა.შ.

რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია მოხდეს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას შორის, რადგან მიღებული იყოს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებები, რომელიც მიგვიყვანს საუკეთესო სწავლების მოდელისაკენ.
- მოხდეს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა საჯარო კომენტარებით, რათა იცოდნენ მშობლებმა რა მიზნით ისწავლება სკოლაში ჭადრაკი და საბოლოოდ რა შედეგს უნდა ელოდეს მშობელი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან მშობლები არიან ხშირად გაურკვევლობაში და სწორად ვერ იაზრებენ სკოლაში ჭადრაკის სწავლების არს და შედეგს.
- უნდა შეიქმნას ჭადრაკის სწავლების სტანდარტი, ამ ეტაპზე მოგეხსენებათ ჭადრაკი მთლიანად მიბმულია სპორტზე. შესაბამისად საჯარო სკოლები ჭადრაკის შესახებ ორიენტირს აკეთებენ სპორტის სტანდარტის გათვალისწინებით, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ჭადრაკისაგან.
- უნდა შეიქმნას სკოლაზე მორგებული ერთიანი საჭადრაკო პროგრამა, რომელსაც გაიზიარებს ყველა სკოლა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ ეტაპზე არ არსებობს არანაირი ორიენტირი, თუ როგორ უნდა იხელმძღვანელოს მასწავლებელმა.
- უნდა შეიქმნას სასკოლო საჭადრაკო პროგრამასთან მიმართებაში ადეკვატური საჭადრაკო სახელმძღვანელოები. დღევანდელი სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, უნდა შეიქმნას მხოლოს ცალკე სკოლაზე მორგებული სახელმძღვანელოები, როგორც ეს უცხოურ ქვეყნებში ხდება.
- ჭადრაკის მასწავლებლის გამოცდას ეროვნული საგამოცდო ცენტრი უნდა ატარებდეს ცალკე და არ უნდა იყოს მიმაგრებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გამოცდასთან. ის საკითხები რაც არის განხილული ფიზიკური

აღზრდისა და სპორტის გამოცდაში, არ შეესაბამება საჭადრაკო საკიხებს. ცალკე ჩატარებულმა გამოცდამ ჭადრაკში უნდა მოიცვას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული საკითხები, როგორც ეს არსებობს სხვა გამოცდების შემთვევაში.

- საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ჩატარებულ სალიცენზიო გამოცდებს უნდა დაემატოს პრაქტიკული ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს სწავლების მეთოდებს და საგაკვეთილო პროცესის მართვას. არ ნიშნავს მხოლოდ თეორიის ცოდნა იმას, რომ აპლიკანტი მზადაა ხელი მიჰყოს პედაგოგიურ საქმიანობას.
- მოხდეს გაანალიზება უცხოური გამოცდილების და დაინერგოს ჩვენს ქვეყანაშიც სწავლების წარმატებული მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გიორგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე, საქართველოს მაცნე, 2012, ჭადრაკი, პირველი დონე, მოსწავლის წიგნი.
2. გიორგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე, საქართველოს მაცნე, 2012, ჭადრაკი, მეორე დონე, მოსწავლის წიგნი.
3. გიორგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე, საქართველოს მაცნე, 2012, ჭადრაკი, მესამე დონე, მოსწავლის წიგნი.
4. გიორგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე, საქართველოს მაცნე, 2012, ჭადრაკი, პირველი დონე, მასწავლების წიგნი.
5. გიორგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე, საქართველოს მაცნე, 2012, ჭადრაკი, მეორე დონე, მასწავლებლის წიგნი.
6. გიორგი მაჭარაშვილი, დავით გურგენიძე, საქართველოს მაცნე, 2012, ჭადრაკი, მესამე დონე, მასწავლებლის წიგნი.
7. ემანუელ ლასკერი, 1958, ჭადრაკის თამაშის სახელმძღვანელო, თბილისი.
8. მეგი ესებუა, 2014, ჭადრაკის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.
9. სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS), 2015.
10. ჭადრაკის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა, 2015.
11. ეროვნული სასწავლო გეგმა, (2018-2024) http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsels
12. მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების პროგრამა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, 2019. https://naec.ge/uploads/postData/PED-2019/sporti-prog-ped.pdf
13. მასწავლებელთა კომპეტენციის დასადასტურებლად ჩასაბარებელი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ტესტი. 2019, https://naec.ge/uploads/postData/PED-2019/test/sporti-2019-geo.pdf.

14. George Chitiyo Ph.D., Lisa Zagumny, Ph.D., Ashley B. Akenson, Ph.D., Michael Littrell, Krista Davis, Kevin Besnoy, Ph.D. 2019. Teaching with Chess: Exploring the Relationship between Chess and Student Learning Outcomes.
15. Patrick S. McDonald, 2007, The benefits of chess in education
16. M. Bilalić et al. 2010. «Mechanisms and neural basis of object and pattern recognition: a study with chess experts», Journal of Experimental Psychology. General.) M. Berland, 2011. «Understanding Strategic Boardgames as Computational-Thinking Training Machines», Carnegie Mellon University ETC Press.
17. O. Amidzic et al. 2001, «Pattern of focal gamma-bursts in chess players», Nature.
18. J. Verghese et al. 2003 «Leisure activities and the risk of dementia in the elderly», New England Journal of Medicine.
19. Гарри Каспаров, 2012. Национальные проблемы образования.
20. В.А. Сухомлинский, 1978. «Сердце отдаю детям», Кишинёв: Лумина, с.131-132
21. Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, 2017, шахматы в школе, 1 год обучения, Москва;
22. Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, 2017 шахматы в школе, 1 год обучения. рабочая тетрадь, Москва;
23. Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, 2017 шахматы в школе, 2 год обучения. Москва;
24. Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, 2017, шахматы в школе, 2 год обучения. рабочая тетрадь, Москва;
25. Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, 2017 шахматы в школе, 3 год обучения, Москва;
26. Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, 2017 шахматы в школе, 3 год обучения. рабочая тетрадь, Москва;
27. Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, 2017 шахматы в школе, 4 год обучения, Москва;

28. Э. Э. Уманская, Е. И. Волкова, Е. А. Прудникова, 2017 шахматы в школе, 4 год обучения. рабочая тетрадь, Москва;
29. Nemanja Vaci, Peter Edelsbrunner, Elsbeth Stern, Aljoscha Neubauer, Merim Bilalić, and Roland H. Grabner, The joint influence of intelligence and practice on skill development throughout the life span.
30. J. Smith, B. Cage «The effects of chess instruction on the mathematics achievements of southern, rural, black secondary students»
31. М.: ФИС, 1972, Последние шахматные лекции Капабланки», с.8-9)
32. (https://edu.aris.ge/news/saqarTvelos-skolebSi-Wadrakis-swavlebis-kompiuteruli-programa-dainergeba.html.)
33. (http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsels.)
34. (http://msy.gov.ge/files/111/Sajaro%20Informacia/chdaraki2015_1.pdf.)
35. (http://msy.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1394).
36. (https://www.chessinschools.co.uk/Pages/Category/greater-london.)